ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

სამშაბათი, 16 აგვისტო, 2016 №193 (7119) ფასი: 50 თეთრი

რა მისწერა სიკვდილამდე ორი კვირით ადრე ეროსი კიწმარიშვილმა შალვა რამიშვილს?





გვ.5

16 აგვისტოდან
თედორე დოსტოევსკი
ყმაწვილი
ტომი 1
ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




# ლევან კობიაშვილი და მიხეილ ყაველაშვილი „ოცნების“ მაჟორიტარები იქნებიან



გვ.2







ხელისუფლებამ მთაწმინდაზე სალომე ზურაბიშვილს კონკურენტი არ დაუყენა



გვ.3

დავით დარჩიაშვილი: „უბლოკო სტატუსზე საუბარი იმას ნიშნავს, რომ რუსეთს პირდაპირ ჩაბარდე“



გვ.4

## „რუსეთის ბიუჯეტმა საქართველოში პენსიების დასარიგებლად ფული გამოყო“

მეგი გოცირიძე: „ივანიშვილს 9 წლის მანძილზე ჩვენ ვიცავდით და სანაცვლოდ ფულს ვადებინებდით“

## თამარ ჩხეიძე: „სამწუხაროა, რომ ღია რუსული პროპაგანდა დასაშვები გახდა“



გვ.5



## ნაციონალებმა ცენტრისტების აკრძალვისთვის საჭირო ხელმოწერები შეაგროვეს

გვ.3



ირაკლი სესიაშვილი: „ნაციონალები პროცესს პოლიტიკურად ჩამორჩნენ“

## დავით ზაქარაია: „დევნილები საარჩევნო ხმას ვითხოვთ“



გვ.6

უნდა მოხდეს თუ არა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ახალი არჩევნები



## ნინო ბურჯანაძე: „დაგვიმტკიცეთ, რომ ნატო და ამერიკა არის საქართველოს ერთადერთი ხსნა“



გვ.3

ლევან ბერძენიშვილი: „ნინო ბურჯანაძეს თუ უნდა, ირმა ინაშვილს ედებატოს“

## ბირთვული ინტრიგა თურქეთში



გვ.6

ISSN 1987-9385

## სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ ქრთამის მიცემისა და ქრთამის აღებაში დახმარების ფაქტზე ორი პირი დააკავა

გვ.3

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ლევან კობიაშვილი და მიხეილ ყაველაშვილი „ოცნების“ მაჟორიტარები იქნებიან

## ხელისუფლებამ მთაწმინდაზე სალომე ზურაბიშვილს კონკურენტი არ დაუყენა


ზაზა ხუციშვილი


ირაკლი აბუსერიძე


ბიძინა გეგიძე


გიორგი მოსიძე


ზაზა გაბუნია

შორენა მარსაგიშვილი

დიდი ხნის წვალების შემდეგ „ქართულმა ოცნებამ“ თბილისის მაჟორიტარობის კანდიდატები გამოამზეურა. კანდიდატები ამჯერადაც პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა წარადგინა.



რამდენიმე კანდიდატის შესახებ წინასწარ გავრცელდა ინფორმაცია. დანარჩენები კი „ოცნებამ“ საიდუმლოდ შეინახა. არის ვარაუდი, რომ რამდენიმე კანდიდატთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ბოლო მომენტში მიიღეს.

რამდენიმე თვის წინ პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ მათ რიგებში სპორტსმენები და მომღერალ-მსახიობები აღარ მოხვდებოდნენ. თბილისში მაჟორიტარობის კანდიდატებად სწორედ ამ კატეგორიის ხალხი დაასახელეს.

ყველაზე საინტერესო კანდიდატები გლდანში არიან. ეტყობა, რაღაც დრესკოდის მაგვარი იყო, რომ ამ რაიონის რჩეულების გვარები კობზე უნდა დაწყებულიყო. სხვა მხრივ ძნელი ასახსნელია, რატომ უნდა წარედგინათ ერთ ოლქში მაინცდამაინც კობალაძე, კობიაშვილი და კობერიძე.

გლდანში, მე-20 ოლქში, მაჟორიტარობის კანდიდატი იქნება კობა კობალაძე. ეს უკანასკნელი თავდაცვის მინისტრის პოსტზეც მოიაზრებოდა. თუმცა ბოლო მომენტში გადაიფიქრეს და ვეტერანთა საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე მაჟორიტარად წარადგინეს.

გლდანში, 21-ე ოლქში, ,,ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატად ლევან კობიაშვილის კანდიდატურა დასახელდა. გასულ წელს ის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად იქნა არჩეული. ეტყობა, კობიმ გადაწყვიტა, რომ პოლიტიკაშიც მოსინჯოს ძალები.

– მას წარმატებული კარიერა ჰქონდა ფეხბურთში. ახლა უერთდება ჩვენს გუნდს და დარწმუნებული ვარ, პოლიტიკასაც წარმატებით გაართმევს თავს, – განაცხადა პრემიერმა.

გლდანში, 22-ე ოლქში, მაჟრიტარობის კანდიდატი „ქართული ოცნებიდან“ იქნება ლევან კობერიძე. ის განათლებით ექიმია. ამის გარდა ის სწავლობდა სტოკჰოლმის ბიზნესსკოლაშიც.

დიდუბეში, მე-15 ოლქში, მაჟორიტარობისთვის იბრძოლებს მსახიობი ზაზა პაპუაშვილი. ამ მოწვევის პარლამენტში ის მთაწმინდის მაჟორიტარის რანგში მოხვდა. თავიდან ძალიან აქტიური იყო. ბოლო დროს მისი ხმა არავის აღარ გაუგია. საგურამოში ახალი სახეების წარდგენისას ის არ გამოჩენილა. ამბობდნენ, რომ მას ზევით ურთიერთობა გაუფუჭდა და დეპუტატად აღარ წარადგენდნენ.

დიდუბეში, მე-16 ოლქში, მაჟორიტარობის კანდიდატი ,,ქართული ოცნებიდან“ იქნება ილია წულაია.

– იგი გახლავთ ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა ბიზნესმენი საქართველოში. ძალიან წარმატებული ადამიანია, ბიზნესიდან პოლიტიკაში შემოდის და, დარწმუნებული ვარ, ასეთივე წარმატებული პარლამენტარი იქნება, – აღნიშნა მისი წარდგენისას პრემიერმა.

მაჟორიტარობის კანდიდატად დასახელდა ბიძინა გეგიძე. ის ვაკეში, მე-2 ოლქშია წარდგენილი. გეგიძე გიორგი კვირიკაშვილის მეგობარია.

ვაკეში, მე-3 ოლქში, მაჟორიტარობის კანდიდატად კენჭს იყრის მომღერალი ზაზა ხუციშვილი.

გიორგი კვირიკაშვილმა ისანში, მე-8 ოლქში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატად ირაკლი აბუსერიძე დაასახელა.

– იგი გახლავთ თბილისის საკრებულოს ერთ-ერთი აქტიური წევრი, არის წარმატებული მორაგბე, წლების განმავლობაში ჩვენი ნაკრების კაპიტანი იყო. დარწმუნებული ვარ, ირაკლი ბევრ კარგ საქმეს გააკეთებს პარლამენტში ხალხის ინტერესების დასაცავად, – აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

ისანში, მე-9 ოლქში, მაჟორიტარობის კანდიდატად წარდგენილია ბიზნესმენი დავით ჭიჭინაძე. ის პარლამენტში პირველად 1999 წელს აღორძინების ბლოკიდან მოხვდა. ჭიჭინაძე აკაკი ასათიანის დეიდაშვილია და მან ჩაწერა ტრადიციონალისტების სიაში.

ვარდების რევოლუციის დროს ის ნაციონალებს უჭერდა მხარს. 2003 წლის შემოდგომაზე ვეტერანთა ნაწილის საპროტესტო აქციასაც, როგორც ამბობენ, ის აფინანსებდა.

ისანში, მე-10 ოლქში, მაჟორიტარობისთვის იბრძოლებს ბექა ნაცვლიშვილი, რომელიც თბილისის საკრებულოს წევრია.

კრწანისში, მე-7 ოლქში მაჟორიტარობის კანდიდატი ,,ქართული ოცნებიდან“ იქნება ბექა ოდიშარია. ის გახლავთ საქართველოში ლატვიის საპატიო კონსული.

ნაძალადევში, მე-17 ოლქში, მაჟორიტარობის კანდიდატია იურისტი სოფო კილაძე.

ნაძალადევში, მე-18 ოლქში, მაჟორიტარობის კანდიდატი ,,ქართული ოცნებიდან“ იქნება ვეტერანი ფეხბურთელი მიხეილ ყაველაშვილი. შარშან ისიც აპირებდა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე კენჭისყრას, მაგრამ დიპლომის უქონლობის გამო მისი კანდიდატურა მოხსნეს.

ნაძალადევში, მე-19 ოლქში, კანდიდატად დასახელებულია ნაძალადევის გამგებელი ზაზა გაბუნია. რომელიც საზოგადოებამ გიორგი თარგამაძის პარტიიდან გაიცნო.

საბურთალოზე, მე-4 ოლქში, მაჟორიტარი დეპუტატის მანდატისთვის იბრძოლებს მამუკა მდინარაძე. ის „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრია. თავიდან მის წარდგენას ტყიბული-თერჯოლის ოლქში აპირებდა. ამომრჩეველთანაც დაიწყო შეხვედრები, მაგრამ მერე მას ელგუჯა გოცირიძე არჩიეს.

საბურთალოზე, მე-5 ოლქში, მაჟორიტარობის კანდიდატი ,,ქართული ოცნებიდან“ იქნება ნინო გოგუაძე. ის ემორის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის მაგისტრი გახლავთ.

საბურთალოზე, მე-6 ოლქში, მაჟორიტარობის კანდიდატი თბილისის საკრებულოს წევრი ლევან გოგიჩაიშვილი იქნება.

სამგორში, მე-11 ოლქში, მაჟორიტარობის კანდიდატი ინტელექტუალურ კლუბ „რა? სად? როდის?“ პროდიუსერი და წამყვანი გიორგი მოსიძე იქნება.

სამგორში, მე-12 ოლქში, მაჟორიტარობისთვის იბრძოლებს მარიამ ჯაში, სოლიდარობის ფონდის ხელმძღვანელი.

სამგორში, მე-13 ოლქში, მაჟორიტარობის კანდიდატი იქნება დეპუტატი შოთა ხაბარელი. რომელიც ცოტა ხნის წინ ამბობდა, რომ პოლიტიკიდან წასვლას აპირებდა.

ჩუღურეთში, მე-14 ოლქში, პარტიის მაჟორიტარობის კანდიდატად დასახელებულია დეპუტატი გია ვოლსკი.

* * *

მთაწმინდაზე „ოცნებას“ კანდიდატი არ წარუდგენია. ამ ოლქში კენჭს სალომე ზურაბიშვილი იყრის. მეოცნებეებმა ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინ თქვეს, რომ საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრს კანდიდატურას არ დაუყენებდნენ.


ლევან კობიაშვილი


დავით ჭიჭინაძე


ზაზა პაპუაშვილი


მარიამ ჯაში





სოფო კილაძე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დავით დარჩიაშვილი: „უბლოკო სტატუსზე საუბარი იმას ნიშნავს, რომ რუსეთს პირდაპირ ჩაბარდე“

## „რესპუბლიკელები „ოცნებისგან“ განიხიბლნენ და აღარ იციან, რა ქნან“

ნათია ხურცილავა

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი **დავით დარჩიაშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში უბლოკო სტატუსსა და რესპუბლიკელების იდეაზე საუბრობს.

***— ბატონო დავით, იმ ფონზე, როდესაც ქვეყნის 20% ოკუპირებულია, პოლიტიკური პარტიები გამოდიან ინიციატივით, რომ, ერთი მხრივ, უბლოკო სტატუსი გვქონდეს და, მეორე მხრივ, პირდაპირ მოხდეს ქვეყანაში რუსული ბაზების დაკანონება. თქვენ რას უკავშირებთ ამ ინიციატივების გააქტიურებას?***

— იმას, რომ ქვეყანაში არსებობს ადამიანების გარკვეული რაოდენობა, ვისაც არაფრად ულირს ქვეყნის დამოუკიდებლობა, მისი სუვერენიტეტი. ამ ადამიანებს მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის განსხვავება ვერ უპოვიათ. არიან ადამიანები, ვისაც ჰგონია, რომ ვაშინგტონი არის სატანისტური სამყაროს ცენტრი, რომელიც საქართველოსთვის იდენტობის წართმევას ცდილობს.

ქვეყნის ასეთი არაცივილიზებული გაგება თანამედროვე განვითარების, ტენდენციების ასეთი უარყოფა სრულიად წარმოუდგენელი და მიუღებელია. არიან ადამიანები, რომლებიც სწორედ ამ ცივილიზაციას ებრძვიან. ებრძვიან ქვეყნის სუვერენულ განვითარებას, ეს მათ ვერ წარმოუდგენიათ. „ოცნების“ ხელისუფლების პირობებში ეს ადამიანები კიდევ უფრო გააქტიურდნენ.

***— ბურჯანაძე ამბობს, რომ უბლოკო სტატუსი არის საქართველოსთვის ერთადერთი გამოსავალი.***

— ქალბატონ ბურჯანაძეს ისე ესმის საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოების პოლიტიკა, თანამედროვე სამყარო, როგორც მე — ჩინური გრამატიკა. ნინო ბურჯანაძე ამ გზით ცდილობს თავის დამკვიდრებას, ის ეყრდნობა ისეთი ტიპის ადამიანებს, ვისზეც ცოტა ხნის წინ მოგახსენეთ.

***— ქვეყნის ნეიტრალიტეტიც ხშირად არის მიჩნეული გამოსავლად. იზიარებთ ამ მოსაზრებას?***

— საქართველოსთვის დღევანდელ პირობებში უბლოკო სტატუსი და ნეიტრალიტეტი დამღუპველია. ეს არის შენიღბული პრორუსული ხაზი. ეს რეალურად ასეა. შეიძლება რაღაც ეტაპზე რუსეთმა სწორედ აღნიშნული იდეა შემოგვაპაროს იმისთვის, რომ არასდროს მეტოქე არ ჰყავდეს მას საქართველოში — საქართველო არ იყოს არც ერთი საერთაშორისო მოთამაშის, ჩრდილოატლანტიკური, ევროატლანტიკური ორგანიზაციის, ერთობის წევრი. ამისთვის რუსეთი ყველაფერზეა წამსვლელი.

რუსეთის ამოცანაა საქართველოსთან ერთი ერთზე დარჩენა. სწორედ ამას ემსახურება უბლოკო სტატუსიც და ნეიტრალიტეტიც. რეალურად რუსეთი არ ცნობს საქართველოს სუვერენიტეტს, არ თვლის საქართველოს დამოუკიდებლობის ღირსად. საერთოდ, პოსტსაბჭოთა სივრცეს ისევ თავისად თვლის. ამ დროს საუბარი უბლოკო სტატუსზე ნიშნავს, რომ რუსეთს პირდაპირ ჩაბარდე.



***— ბურჯანაძის იდეის საწინააღმდეგო ინიციატივას ლობირებენ რესპუბლიკელები. მათ იდეას, რომ ქვეყნის საგარეო კურსის განსაზღვრა კონსტიტუციის დონეზე მოხდეს, მხარს დაუჭერთ?***

— როდესაც ამ მოწვევის პარლამენტში აღნიშნულ საკითხზე სერიოზული დებატები გვქონდა და ჩვენ მაშინ იგივეს ვითხოვდით ხელისუფლებისგან, მაშინ რესპუბლიკელებისგან რაღაც არ გამიგონია, რომ ისინი მხარს უჭერდნენ ან მსგავს ინიციატივას აყენებდნენ. ახლა „ოცნებისგან“ განიხიბლნენ და აღარ იციან, რა ქნან. მათი პასუხისმგებლობაც არის, როგორც ხელისუფლებაში ნამყოფი ძალის, რომ ჩვენი ქვეყანა ამ დონემდე მივიდა, რომ ასე არის დასუსტებული დამოუკიდებლობის შინაგანი ნება და ენერგია.

***— ეს არის რესპუბლიკელების მხოლოდ პოლიტიკური სვლა და წინასაარჩევნო გათვლა?***

— არა, მე ვამბობ, რომ თავის დროზე რატომ არ დააფიქსირეს პოზიცია სწორედ ამ საკითხზე. მაშინ სად იყვნენ, როდესაც ეს საკითხი პარლამენტში განიხილებოდა?! ადრე, როდესაც „ქართულ ოცნებასთან“ ერთად იყვნენ, რას ფიქრობდნენ?! ბედუკაძე და ა.შ. ივანიშვილის საცეცებია. ცენტრისტები ყველაზე ამაზრზენი სახით გამოხატავენ პრორუსულ სახეს, მაგრამ ეს ერთგვარი მეხამრიდიცაა ივანიშვილის ხელში, რომ თქვას, აი, სწორედ ის არის პრორუსი და სხვა არავინ.

რასაკვირველია, ეს ხელს უწყობს შინაგან დასუსტებას, დაკნინებას, ქვეყნის დამოუკიდებლობის ეროზიას. რესპუბლიკელებს ახლა გაახსენდათ, რომ საფრთხე შეიძლება რეალური იყოს? კი ბატონო, ისაუბრონ, გაახმოვანონ იდეები, მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. კონსტიტუციაში კი არა, ზოგიერთებმა შუბლზე დაიწერონ, რომ საქართველოს პროდასავლურ კურსს ალტერნატივა არ გააჩნია, მაგრამ მათი პასუხისმგებლობაც არის, რომ ეს საკითხი ასე აქტიურად დადგა დღის წესრიგში.

***— ბატონო დავით, თქვენი პოზიცია მაინტერესებს — კონსტიტუციაში უნდა ჩაიწეროს თუ არა ქვეყნის საგარეო კურსი?***

— ბევრი ხერხის გამოყენებაა საჭირო, რომ საქართველო, მისი დამოუკიდებლობა გადარჩეს. კი ბატონო, ჩაიწეროს კონსტიტუციაში! ამით არაფერი გაფუჭდება. ეს იდეა ჩვენ გვქონდა და ამ იდეის წინააღმდეგი არ ვართ. მოიკითხონ, თავიანთი ყოფილი თანამებრძოლების რიგებში რა მდგომარეობაა.

***— შეიძლება ეს ყველაფერი წინასაარჩევნოდ გააქტიურდა და რეალურად მსგავსი საფრთხე არ დგას?***

— რას ნიშნავს მხოლოდ წინასაარჩევნოდ. წინასაარჩევნოდ ყოველთვის აქტუალიზდება ყველანაირი პოლიტიკური განაცხადი, ლოზუნგი, მაგრამ რა გამოდის — გულწრფელად არ უნდათ რუსეთი და საარჩევნოდ აქვთ ეს იდეები მხოლოდ?! ასე ნამდვილად არ არის.

***— წინასაარჩევნოდ შეიძლება რუსული ხელი კიდევ უფრო გამძაფრდეს?***

— რუსული ხელი ყოველთვის მძაფრად იგრძნობა. დიახ, არჩევნები ყოველთვის არის ერთ-ერთი საშუალება რუსეთის ტიპის ქვეყნისთვის, რომ მეზობელი ქვეყნის პოლიტიკაში ხელი აფათურონ, რათა თავი უფრო კარგად დაიმკვიდრონ.

# ნაციონალებმა ცენტრისტების აკრძალვისთვის საჭირო ხელმოწერები შეაგროვეს

## ირაკლი სესიაშვილი: „ნაციონალები პროცესს პოლიტიკურად ჩამორჩნენ“

ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ საკონსტიტუციო სასამართლოში წარსადგენად პარტია ცენტრისტების აკრძალვისთვის სა-



ჭირო ხელმოწერები შეაგროვა.

ამის შესახებ გიორგი კანდელაკმა განაცხადა. მისივე თქმით, ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ მოამზადა ამ შინაარსის სარჩელი და ნაციონალური მოძრაობა მას უერთდება.

**გიორგი კანდელაკი:**

— ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ შეაგროვა საკმარისი რაოდენობის ხელმოწერები იმისთვის, რომ სარჩელი შევიდეს საკონსტიტუციო სასამართლოში პარტია ცენტრისტების აკრძალვის მოთხოვნით.

ნაციონალური მოძრაობის და საპარლამენტო უმცირესობის პრაქტიკულად ყველა წევრი ხელს აწერს ამ სარჩელს, რაც საკმარისი საფუძველია იმისა, რომ ეს სარჩელი შევიდეს საკონსტიტუციო სასამართლოში და დაიძრას პროცესი საქართველოს სუვერენიტეტის და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ გამოსული ამ პოლიტიკური ძალის ასაკრძალად, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული „ქართულ ოცნებასთან“ და ბიძინა ივანიშვილთან.

ნაციონალების გადაწყვეტილებას პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი ასე გამოეხმაურა:

— ნაციონალები პოლიტიკურად ჩამორჩნენ პროცესს და ახლა აჰყვნენ იმ მოწოდებებს, რომლებიც სხვა პარტიებმა უკვე გააკეთეს, მათ შორის ჩვენ.

როგორც სესიაშვილმა ინტერპრესნიუსს განუცხადა, „ქართული ოცნების“ სარჩელი, ფაქტობრივად, უკვე მზად არის.



**ირაკლი სესიაშვილი:**

— ჩვენ ნაციონალებთან საერთოს იშვიათად თუ ვპოულობთ. ერთადერთი, რაზეც ვთანხმდებოდით პარლამენტში, ეს იყო ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერა.

არ მიმაჩნია, რომ ამ თემასთან დაკავშირებით რაიმე საერთო ვნახოთ მათთან, მით უმეტეს, ჩვენ პოზიცია ერთ-ერთმა პირველებმა დავაფიქსირეთ. ჩვენ ფრაქციაში გვყავს საკმარისი რაოდენობის დეპუტატი, რომ დამოუკიდებლად შევიტანოთ ეს სარჩელი. საკონსტიტუციო სარჩელი, ფაქტობრივად, უკვე მზად არის. თუ ვინმეს უნდა, რომ შემოუერთდეს ჩვენს სარჩელს, მისი გადასაწყვეტია.

* * *

სარჩელი იგივე თემაზე რესპუბლიკელებმაც მოამზადეს.

ისინი საკონსტიტუციო სასამართლოს ცენტრისტების პოლიტიკური საქმიანობის აკრძალვის მოთხოვნით მიმართავენ.

რესპუბლიკური პარტია მიიჩნევს, რომ ცენტრისტების ლიდერების მიერ გაკეთებული საჯარო განცხადებები და მოწოდებები პოლიტიკური გაერთიანების მიზნების ანტიკონსტიტუციურობას ადასტურებს.

რესპუბლიკელები საკონსტიტუციო სარჩელზე ხელმოწერას სხვა პოლიტიკურ ძალებსაც სთავაზობენ, თუმცა, ამავე დროს, როგორც პარტიაში განმარტავენ, მხარს დაუჭერენ ამავე საკითხზე სხვა პოლიტიკური ძალის საკონსტიტუციო სარჩელს და მზადყოფნას გამოთქვამენ, პოზიციების გასამყარებლად მას საკუთარი სარჩელიც გადასცენ.

# სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ ქრთამის მიცემისა და ქრთამის აღებაში დახმარების ფაქტზე ორი პირი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის მიცემისა და ქრთამის აღებაში დახმარების ფაქტზე, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს იმერეთის სატყეო სამსახურის ხონის სატყეო უბნის ტყის მცველი ამირან კ. და საქართველოს მოქალაქე ვალერი ქ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მოქალაქე ვალერი ქ-მ, ხონის სატყეო უბნის ტყის მცველის ამირან კ-ს დახმარებითა და შუამავლობით, იმერეთის სატყეო სამსახურის უფროსს მის სამცველოში არსებული ტყეკაფიდან 25 კუბური მეტრი გამომშრალი ხის მორების გატანის სანაცვლოდ შესთავაზა და ქრთამის სახით გადასცა 3.000 ლარი, რა დროსაც ვალერი ქ. და ამირან კ. ბრალდებულის სახით დააკავეს.

გამოძიება ქრთამის აღებაში დახმარებისა და ქრთამის მიცემის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს 25-338 მუხლის 1-ლი ნაწილით და 339-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც თავისუფლების აღკვეთას 6 დან 9 წლამდე ვადით ითვალისწინებს).

გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მზარდი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ნინო ბურჯანაძე: „დაგვიმტკიცეთ, რომ ნატო და ამერიკა არის საქართველოს ერთადერთი ხსნა“

## ლევან ბერძენიშვილი: „ნინო ბურჯანაძეს თუ უნდა, ირმა ინაშვილს ედებატოს“

რესპუბლიკური პარტიის წევრი ლევან ბერძენიშვილი დემოკრატიული მოძრაობის ლიდერ ნინო ბურჯანაძეს ურჩევს, საქართველოს უბლოკო სტატუსის შესახებ დებატებზე ნუ იოცნებებს და თუ უნდა, ირმა ინაშვილს ედებატოს.

როგორც ბერძენიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, საქართველოს საგარეო-პოლიტიკური კურსის თაობაზე მსჯელობის დაწყება ეწინააღმდეგება ქართველი ხალხის გადაწყვეტილებას, რომელმაც ეს კურსი პლებისციტის შედეგებით განსაზღვრა.



**ლევან ბერძენიშვილი:**

— ამ საკითხის მსჯელობის დაწყება ეწინააღმდეგება ქართველი ხალხის გადაწყვეტილებას, რომელიც პლებისციტით არის დადასტურებული და რომელიც ასოცირების შეთანხმებით არის გამოხატული.

ამ საკითხზე დებატებზე ნუ იოცნებებს ქალბატონი ნინო, თუ უნდა, ირმა ინაშვილს ედებატოს.

თავად ნინო ბურჯანაძე პროდასავლურ ძალებს, რომლებიც უბლოკო სტატუსის იდეას ეწინააღმდეგებიან, საჯარო დისკუსიის გამართვას სთავაზობს.

**ნინო ბურჯანაძე:**

— მოიყვანეთ თქვენი არგუმენტები, რომლითაც მოსახლეობას მისცემთ მყარ საფუძველს იფიქროს, რომ თქვენ ხართ მართლები, რომ ნატო და ამერიკა არის საქართველოს ერთადერთი ხსნა.

მე და ჩემი მეგობრები კი მოვიყვანთ ჩვენს არგუმენტებს იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველომ უნდა ითანამშრომლოს ყველასთან, მაგრამ მისი გადარჩენა არის არც ამერიკის შტატობა, არც რუსეთის გუბერნიობა.

საქართველოს გადარჩენა არის დამოუკიდებელი და საქართველოს ინტერესების შესაბამისი პოლიტიკის წარმოება და საქართველოს გადარჩენა არის სწორედ ის, რომ გამოაცხადებს უბლოკო სტატუსი.

ინტერპრესნიუსი

# „რუსეთის ბიუჯეტმა საქართველოში პენსიების დასარიგებლად ფული გამოყო“

## მეგი გოცირიძე: „ივანიშვილს 9 წლის მანძილზე ჩვენ ვიცავდით და სანაცვლოდ ფულს ვადებინებდით“

შორენა მარსაგიშვილი

რა დაგეგმა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა საქართველოში, რატომ იცავდნენ ნაციონალები 9 წლის მანძილზე ბიძინა ივანიშვილს, რატომ დუმდა ყველა ლადო ბედუკაძესა და თემურ ხაჩიშვილზე? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ყოფილი დეპუტატი **მეგი გოცირიძე** ესაუბრება.

***– საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში გასულ ცენტრისტების რეკლამას დიდი და საყოველთაო მღელვარება მოჰყვა საქართველოში. რუსული პენსიის დაწესებასა და რუსული სამხედრო ბაზების შემოყვანაზე ეს პარტია აქამდეც საუბრობდა და რაღა ახლა ატყდა გნიასი?***

– სხვების მაგივრად მე პასუხს ვერ გაგცემთ. პირადად მე ამ პარტიაზე მისი დაარსების დღიდან ვყვირი. განცხადებები ყველგან, მათ შორის „ახალ თაობაშიც“ გავაკეთე. მაშინვე ვამბობდი, რომ პარტია ცენტრისტები არის რუსეთის თავდაცვის მინისტრ სერგეი შოიგუს მიერ შექმნილი პარტია. ბედუკაძის და ხაჩიშვილის პარტიის სათავო ოფისი არის მოსკოვში.

ისინი ღიად და ხმამაღლა აკეთებდნენ ანტიკონსტიტუციურ განცხადებებს, რასაც ჩვენი პოლიტიკური სპექტრი ძალიან მშვიდად შეხვდა. საზოგადოებასაც არ ჰქონია სათანადო რეაქცია. რუსეთუმეების დუმილი არც მიკვირს, ამ დუეტმა ყველა მათგანის პოზიცია გამოხატა, სხვები რატომ დუმდნენ, არ ვიცი. ცენტრისტების განცხადებები ყურადღების მიღმა ალბათ იმიტომ დარჩა, რომ ჩვენ, ქართველები, ბევრ რამეს არასერიოზულად ვუყურებთ.

ჩემს გარემოცვაში ცენტრისტები ბევრმა არასერიოზულად მიიღო, არადა ეს ძალიან სახიფათო ძალაა.

***– სახიფათო რანაირად არის, წევრების სიმრავლით ის არ გამოირჩევა და ყველა მაგათ აგინებს.***

– ეს გინება მაგათთვის დიდი რეკლამაა. დღეს ყველა ამ პარტიას უყურებს. მათი კლიპი, სადაც რუსულ პენსიაზეა საუბარი, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით გავიდა. საზმაუს კი რეგიონებში ბევრი ხალხი უყურებს. იცით, რამდენი გაჭირვებული ადამიანი რეკავს აქეთ-იქეთ, სად დავრეგისტრირდეთ რუსული პენსიის მისაღებადო? ცენტრისტებსაც ეს უნდოდათ. მართალია, მათ ლანძღავენ, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ყველას მათი სახელი აკერია პირზე.

ეს პარტია კიდევ იმით არის სახიფათო, რომ მის უკან თავდაცვის მინისტრი სერგეი შოიგუ დგას. რუსეთის ბიუჯეტში ცენტრისტების დასაფინანსებლად ფულიც კი აქვთ გამოყოფილი.

რუსეთის ბიუჯეტში გამოყოფილია თანხა, რომ თუ ცენტრისტები გაიმარჯვებენ, საქართველოში ნოემბრიდან რუსული პენსიის გაცემა დაიწყება.

***– სხვა ქვეყანამ როგორ უნდა გასცეს საქართველოში პენსიები?***

– ცენტრისტებმა თუ გაიმარჯვეს, საქართველო უკვე რუსეთი იქნება. მოსკოვი დიდი ხანია ცდილობს პოლიტიკურ ასპარეზზე თემურ ხაჩიშვილის გამოყვანას. ტერორიზმის და ათასი უბედური ბრალდების მუხლით გასამართლებული ხაჩიშვილი ჯერ კიდევ წლების წინ შეეცადა პოლიტიკური პარტიის შექმნას.



თავის დროზე შევარდნაძემ კაგებეს ზეწოლის შედეგად გამოუშვა ციხიდან ხაჩიშვილი. ეს 2002 წელს მოხდა. მაშინ ამას დიდი ამბები მოჰყვა. ეს ცენტრისტის ქურქში გახვეული ჯალათი გია ჭანტურიაზე განხორციელებული ტერაქტის ბრალდებითაც იყო გასამართლებული. გაგიჟებულმა ირინა სარიშვილმა დაურეკა შევარდნაძეს და ჰკითხა, ეს გარეთ როგორ გამოუშვიო. შევარდნაძის პასუხი ასეთი იყო: ციხეში კარგად იქცეოდა და რა მექნაო.

ციხიდან გამოსვლის შემდეგ მან დააფუძნა პარტია, რომელსაც დათვი ერქვა. ამ პარტიის უკან რუსეთი იდგა. ხაჩიშვილს არც მაშინ დაუმალავს ზრახვები. ის საქართველოს მომავალს რუსეთში ხედავდა. რაღაც შედეგს აუცილებლად დადებდა, მაგრამ მაშინ მოხდა ვარდების რევოლუცია და ხაჩიშვილი საერთოდ აორთქლდა. ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ ის ისევ გააქტიურდა. იმდენად გათავხედდა, რომ რუსული სამხედრო ბაზების შემოყვანას ითხოვს.

დღეს ცენტრისტების რეკლამის გაშვების გამო ყველა საზოგადოებრივ მაუწყებელს ლანძღავს. საზმაუსთან მე პრეტენზიები არა მაქვს. მათ კანონით არ ჰქონდათ უფლება, დარეგისტრირებული პარტიისთვის უფასო სარეკლამო დროზე უარი ეთქვათ. ამაზე პასუხი იმან უნდა აგოს, ვინც ცენტრისტები დაარეგისტრირა. დამრეგისტრირებელთან ერთად პასუხი ბიძინა ივანიშვილსაც უნდა მოეთხოვოს.

***– ივანიშვილს რატომ?***

– იმიტომ, რომ ბედუკაძე მაგის პროექტია. მის მიერ დადგმული სიბინძურის წყალობით მოვიდნენ ეს მართლა მეცოცხეები ხელისუფლებაში. ეს სცენარი დაიწერა რუსეთში. ამ სკანდალიდან მოკლე ხანში ბედუკაძე რუსებმა ორდენით დააჯილდოვეს.

ეს ადამიანი ახლა სახელმწიფო დაცვით დადის და ხაჩიშვილთან ერთად რუსული ბაზების შემოთრევას ითხოვს. მათი მფარველი არის ივანიშვილი, რომელმაც ქვეყნის 25%-ის ოკუპაცია მოახდინა. საბოლოო ჯამში რუსეთს საქართველოს ტერიტორიის 45% აქვს ოკუპირებული. რაც ბიძინასია, ის ავტომატურად რუსეთისაა.

ცოცხების სცენა რომ დადგმული იყო, ამაზე მაშინვე ვყვიროდი. ამ დღეებში გამოქვეყნდა ფირები, სადაც თავიდან ბოლომდე ჩანს, რომ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დაიდგა ეს სცენა. ეს სცენარი რუსეთში დაიწერა. სცენარის ნაწილი 2012 წლის მაისში გაამჟღავნა „ქართულმა ოცნებამ“. მაშინ ამას სათანადო ყურადღება არ მივაქციეთ.

***– რაზე საუბრობთ?***

– 2012 წლის მაისში გოგა ხაინდრავამ ერთ-ერთი გამოსვლისას განაცხადა, რომ ცოტაც მოიცადეთ და შემოდგომაზე ხალხი ნაციონალებს ცოცხებით გარეკავსო. ამ განცხადებიდან რამდენიმე ხანში ცოცხების კადრები ვრცელდება.

***– და რატომ აკავშირებთ ხაინდრავას განცხადებას ცოცხების სკანდალთან?***

– ხაინდრავა ივანიშვილთან დაახლოებული პირი იყო. მას აუცილებლად ექნებოდა ინფორმაცია, რას გეგმავდა ბედუკაძე. ამ ცოცხების სკანდალის დადგმაში ივანიშვილმა მას 2 მილიონი გადაუხადა. ამ ამბავს ხაინდრავას აუცილებლად გაუმხელდნენ. მანაც რამდენიმე თვით ადრე დააანონსა ცოცხების რევოლუცია.

***– ცოცხებით გარეკავენო არის ჩვეულებრივი ქართული გამოთქმა და იქნება ამიტომ გააკეთა ასეთი განცხადება?***

– როგორ გეკადრებათ? ხაინდრავა შემთხვევით არაფერს ამბობს. მას თავისუფლად შეეძლო ეთქვა ჩვენზე, ხალხი მათ კომბლებით გარეკავსო. ეს გამოთქმა უფრო პოპულარულია საქართველოში, მაგრამ ხაინდრავამ შეგნებულად ახსენა ცოცხები.

ცოცხების კადრებს წინ უძღოდა ენდიაის გამოკვლევები, სადაც „ოცნებას“ ჰქონდა კატასტროფული მაჩვენებელი. რეიტინგის ასაწევად მათ რაღაც უნდა მოეფიქრებინათ და მოიფიქრეს კიდეც.

ციხის სკანდალი არა „ოცნებამ“, არამედ ნაციონალებმა გავხეთქეთ. 2012 წლის 19 სექტემბერს მაშინდელმა მთავარმა პროკურორმა მურთაზ ზოდელავამ საგანგებო ბრიფინგი გამართა, სადაც სწორედ ციხეში წამებაზე იყო საუბარი. პატიმრების წამების ბრალდებით მაშინ 10 ადამიანი დააკავეს. მეთერთმეტეს კი ბრალი დაუსწრებლად წაუყენეს. ის მეთერთმეტე იყო ლადო ბედუკაძე, რომელმაც საქართველოდან გაქცევა მოახერხა.

ამ სკანდალიდან მოკლე ხანში უკვე „ოცნებამ“ გამოაქვეყნა ცოცხების კადრები, რამაც არჩევნებზე გადამწყვეტი გავლენა იქონია. ეს კადრები რომ არა, დარწმუნებული ვარ, „ოცნება“ ვერასდროს მოიგებდა არჩევნებს. ამ კადრებმა ხალხი შოკში ჩააგდო. მე რომ არ მცოდნოდა, სინამდვილეში რა მოხდა, მეც გადავირეოდი.

არჩევნების წინა საღამოს სკანდალი ბარბარე რაფალიანცის მკვლელობაზე ააგორეს. ესეც ნაციონალებს დაგვაბრალეს და ხალხი გაგიჟდა. ახლა გასულია 4 წელი. არც ერთი საქმე გამოძიებული არ არის. 9 თვის ბარბარეს მკვლელი ნაპოვნი არ არის, ხოლო პატიმრების მწამებელი ბედუკაძე გმირად შერაცხეს და სახელმწიფო დაცვით დაატარებენ. ამაზე მეტი ლუსტრაცია რაღა გინდათ.

***– თუ ეს სკანდალი თქვენ გახეთქეთ, რატომ არ დაამტკიცეთ, რომ ეს ყველაფერი იყო სიცრუე და დადგმული?***

– ეს კადრები არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე გამოქვეყნდა. სიმართლის დასამტკიცებლად დრო აღარ გვეყო. მთელი 4 წლის მანძილზე ქოცები მეცოცხეებს გვეძახდნენ. სინამდვილეში თავად არიან მეცოცხეები. ეს ცოცხების სკანდალი ახლა მათ შეუბრუნდათ უკან და არჩევნებზე ხალხი მათ მართლა ცოცხებით გარეკავს.

***– რაიმე ხომ არ იცით და აანონსებთ?***

– მე ის ვიცი, რომ ეს არჩევნები საქართველოსთვის გადამწყვეტია. ცოცხებით მოსული ხელისუფლება ერთი დიდი ცოცხით უნდა მოვხვეტოთ და პოლიტიკურ სანაგვეზე გავუშვათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანას არეულობა და ქაოსი ელოდება. ესენი თუ დარჩნენ, მალე წითელ არმიასაც შემოუძღვებიან.

***– ამბობენ, რომ სწორედ ნაციონალები აპირებენ არჩევნებზე არეულობის მოწყობას.***

– ერთადერთი პარტია, რომელსაც არეულობის მოწყობა არ უნდა საარჩევნოდ, ვართ ჩვენ. ნაციონალური მოძრაობა არჩევნებს დიდი უპირატესობით მოიგებს და მშვიდი გარემო მისთვის ყველაზე მისაღებია.

***– ყველა პარტია იმას ამბობს, რომ არჩევნებს მოიგებს.***

– ნაციონალური მოძრაობა ყველა არ არის და ამაში ოქტომბერში დარწმუნდებით. აქ თუ ხელისუფლება არ შეიცვალა, ჩათვალეთ, რომ აქ მალე დააკანონებენ რუსულ სამხედრო ბაზებს. ივანიშვილი სწორედ ამ მისიის შესასრულებლად არის პოლიტიკაში შემოგდებული.

***– ეგ კაცი თუ ასეთი შემოგდებული იყო, 9 წლის მანძილზე ვერ გაარკვიეთ?***

– იმ 9 წლის მანძილზე მასთან ჩვენი ურთიერთობა ძალიან საინტერესო იყო.

***– საინტერესოში რას გულისხმობთ?***

– იმას, რომ ამ 9 წლის მანძილზე ჩვენ მას ვიცავდით.

***– ვისგან იცავდით ან თქვენი დასაცავი რა სჭირდა, თავად ვერ დაიქირავებდა დაცვას?***

– დაცვის დაქირავება ნამდვილად არ გაუჭირდებოდა, მაგრამ არ დაგაინტერესათ, ამ წლების მანძილზე ივანიშვილი საქართველოდან რატომ არსად წავიდა? იმიტომ, რომ არსად წაესვლება. კაცი გაზპრომის მეწილეა და რუსეთშიც კი არ შეესვლება. აღარც კი ახსოვს, ბოლოს როდის იყო რუსეთში.

***– ამბობთ, პუტინის კაცია, გაზპრომის მეწილეაო და რატომ არ შეესვლება რუსეთში?***

– გიდასტურებთ, რომ ივანიშვილი პუტინის კაცი და მისი დავალებების შემსრულებელია. რაც შეეხება რუსეთში შესვლას, რუსეთი მარტო პუტინი არ არის. ამ ქვეყანას აკონტროლებენ შავები. ისინი თავის დროზე ივანიშვილმა გადააგდო. ამიტომ ვერ შედის რუსეთში. 9 წელი ჩვენ ვიცავდით მის უსაფრთხოებას.

***– იცავდით და წველიდით კიდეც.***

– დიახ, ვწველიდით. უფრო ზუსტად, ფულს ვადებინებდით. ეგ საკუთარი სურვილით ერთ თეთრსაც კი არ დახარჯავდა.

# საჯარო რეესტრი: „ცენტრისტებს 2006 წლიდან არ ჰყოლია ხელმძღვანელობა“

– საჯარო რეესტრის მონაცემებით, პარტია ცენტრისტებს არ ჰყავს ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი.

ამის შესახებ განცხადება საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ გუშინ, 15 აგვისტოს, გაავრცელა.

საჯარო რეესტრის ინფორმაციით, 2016 წლის 10 აგვისტოს, უწყებათაშორისი კომისიის სხდომაზე დასწრების მიზნით, იუსტიციის სამინისტროს შენობაში გამოცხადდა მოქალაქე ვლადიმერ ბედუკაძე და განმარტა, რომ ის წარმოადგენდა ცესკოს მიერ საარჩევნოდ რეგისტრირებული პარტია ცენტრისტების წარმომადგენელს.

ვინაიდან საჯარო რეესტრში დაცული მონაცემებით, პარტიას არ ჰყავს ხელმძღვანელობა და არ ჰყავს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, და ვინაიდან ვერც ბედუკაძე იქნებოდა პარტიის წარმომადგენელი კომისიის წინაშე, მოქალაქე არ იქნა დაშვებული სხდომაზე, რის შედეგადაც მან დატოვა სამინისტროს შენობა.




საჯარო რეესტრის ცნობით, პოლიტიკური გაერთიანება ცენტრისტები რეგისტრირებულია 2002 წლის 30 დეკემბერს.

2002 წელს პარტიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა თეიმურაზ ხაჩიშვილი, ხოლო პოლიტიკური საბჭო განისაზღვრა შემდეგი შემადგენლობით: თეიმურაზ ხაჩიშვილი, ვახტანგ გოგუაძე, ვალერი კვარაცხელია, ალექსანდრე ჭილაძე, ვახტანგ თალაკვაძე, ჯემალ ნინუა, ლონგი ჭელიძე, თემურ ჯიშკარიანი, გოგი ბიჭაშვილი, დავით ქევხიშვილი, ელდარ გოდერძიშვილი, გელა ესაკია, ვაჟა ბახტურიძე და გელა პაპუაშვილი.

პარტიის თავმჯდომარეს და პოლიტიკური საბჭოს ზემოხსენებულ შემადგენლობას, რომლებიც არჩეულნი იყვნენ 4 წლით, ვადა ამოეწურათ 2006 წელს.

2006 წლიდან 2016 წლამდე პარტიას მარეგისტრირებელი ორგანოსთვის არ წარმოუდგენია ინფორმაცია პარტიის ხელმძღვანელი პირების ცვლილებასთან დაკავშირებით.

2016 წლის 19 მაისს თეიმურაზ ხაჩიშვილის მიერ მოთხოვნილ იქნა პარტიის წესდების ასლისა და პარტიის ამონაწერის მიღება, რაც საჯარო რეესტრის მიერ დაკმაყოფილდა. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ მოცემული პირი არ იყო უფლებამოსილი თავმჯდომარე, პარტიის ამონაწერში არ მოხდა პარტიის თავმჯდომარის სახელისა და გვარის მითითება.

2016 წლის 30 მაისს თეიმურაზ ხაჩიშვილის მიერ წარმოდგენილ იქნა 2016 წლის 29 მაისის პარტიის რიგგარეშე ყრილობის ოქმი და მოთხოვნილ იქნა ახალი მონაცემების რეგისტრაცია: რიგგარეშე ყრილობის ოქმის თანახმად, პარტიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა თეიმურაზ ხაჩიშვილი და პოლიტიკური საბჭო შემდეგი შემადგენლობით: თეიმურაზ ხაჩიშვილი, ირაკლი ჩუბინიძე, დავით ხაჩიშვილი.

საჯარო რეესტრის მიერ განხილული იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და 2016 წლის 2 ივნისს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. პარტიას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განესაზღვრა 10 დღიანი ვადა.

2016 წლის 30 ივნისს თეიმურაზ ხაჩიშვილმა წარმოადგინა განცხადება-საჩივარი და განაცხადა, რომ საჯარო რეესტრი არ უნდა შესულიყო უკვე რეგისტრირებული პარტიის რიგგარეშე ყრილობის ოქმის განხილვაში, მას ცნობად უნდა მიეღო აღნიშნული ოქმი და გაეცა სარეგისტრაციო მოწმობა.

2016 წლის 4 ივლისს საჯარო რეესტრის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ.

საბოლოოდ საჯარო რეესტრმა მიიჩნია, რომ თეიმურაზ ხაჩიშვილის ადმინისტრაციული საჩივარი იყო დაუსაბუთებელი და ის არ დაკმაყოფილდა.

– საჯარო რეესტრის ვებგვერდზე ყველასთვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ პარტიას ცენტრისტებს, მარეგისტრირებელ ორგანოში დაცული ოფიციალური მონაცემებით, არ ჰყავს და 2006 წლიდან არ ჰყოლია ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, – ნათქვამია საჯარო რეესტრის განცხადებაში.

# თამარ ჩხეიძე: „სამწუხაროა, რომ ღია რუსული პროპაგანდა დასაშვები გახდა“

მარიამ მჭედლიშვილი

ბედუკაძე-ხაჩიშვილის ცენტრისტების საარჩევნო კლიპი, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლით გადაიცა, ანტისახელმწიფოებრივად ხელისუფლებამაც გამოაცხადა. ამ კლიპში ასახული დაპირებები ამ პარტიას ადრეც არ დაუმალავს. ილია ჭავჭავაძის საზოგადოების თავმჯდომარე **თამარ ჩხეიძე** „ახალ თაობასთან“ საუბარში აღნიშნავს, რომ კანონმდებლობა კრძალავს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საწინააღმდეგო მოწოდებებს, თუმცა ასეთი მოწოდებები ამ სარეკლამო კლიპამდეც გაისმოდა.

***– თუმცა, პარტიებს, რომლებიც ასეთ დაპირებებს იძლევიან, რეგისტრაციისას პრობლემა არ ექმნებათ.***

– ეს მართლაც ასეა. სწორი იქნებოდა, თუ ასეთ ძალებს რეგისტრაციიდან მოხსნიდნენ. რუსეთის ინტერესების გამტარებლები ქვეყანაში ადრეც იყვნენ, მაგრამ ისინი რუსეთის მხარდამჭერ ღია მოწოდებებს ერიდებოდნენ. ბოლოდროინდელი მოწოდებები აშკარად ანტისახელმწიფოებრივი და რუსეთიდან მართულია. სამწუხაროა, რომ ღია რუსული პროპაგანდა დასაშვები გახდა.

რუსეთუმეები ცდილობენ, თავიანთი პროპაგანდით მოიმადლიერონ საზოგადოების გარკვეული ჯგუფები. ჩვენდა საუბედუროდ, ხალხის ნაწილი რუსეთს ოკუპანტად არ აღიქვამს. ზოგისთვის რუსეთი და აშშ ერთნაირად მიუღებელია. არადა, სხვაგვარ მხარდაჭერას რომ თავი დავანებოთ, აშშ გვეხმარება რუსეთის ოკუპაციის შეჩერებაში. ასე მოხდა 2008 წელს. რუსეთი გააჩერა ამერიკის გაფრთხილებამ, თორემ პუტინი თბილისში შემოდიოდა. რუსეთის ხელისუფლება მიხვდა, რომ შავ ზღვაში შემოსულ ამერიკულ გემებში მარტო პამპერსები არ იყო და გაჩერდა.

***– რატომ გახდა დასაშვები რუსეთის ღია პროპაგანდა?***

– ამას აქვს თავისი მიზეზები. არასწორი პოლიტიკის შედეგად, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის დროიდან ტარდებოდა, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა გაღატაკდა და ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ საბჭოთა დრო სანატრელი გაუხდა. ადამიანები ადარებენ დღევანდელ სიდუხჭირეს იმ მინიმალურ სოციალურ უზრუნველყოფას, რაც კომუნისტების დროს იყო. საბჭოთა სოციალისტური სისტემა ვერ მოვა ჩამო-



ყალიბებული საბაზრო ეკონომიკის კეთილდღეობასთან, მაგრამ ხალხმა ეს ნორმალური საბაზრო ეკონომიკა ვერ ნახა. ამიტომ, საზოგადოების ნაწილი მისტირის საბჭოთა კავშირს და მაშინდელ სოციალურ უზრუნველყოფას.

***– რაც კავშირშია პრორუსულობასთან?***

– პირდაპირ კავშირშია. არიან ადამიანები, რომლებისთვისაც ნორმალური ყოფა ასოცირდება რუსეთთან. ამ ხალხს არ ესმის, რომ რუსეთი ადამიანების სოციალურ პირობებს არ გააუმჯობესებს. ამას ამტკიცებს რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილი მდგომარეობა. ასეთი ტერიტორიები არსებობს უკრაინასა და საქართველოში. მაგალითად, აფხაზეთში და იქ იმაზე უარესი მდგომარეობაა, ვიდრე დანარჩენ საქართველოში.

***– ანუ რუსული პროპაგანდისთვის მთავარი ნიადაგი შეიქმნა სოციალური პირობების გამო?***

– ამაში წვლილი აქვს სოციალურ მდგომარეობასაც და იმასაც, რომ შეიქმნა სრული კარტ-ბლანში იმ პარტიებისთვის, რომლებიც ღიად გამოხატავენ რუსეთის ინტერესებს.

***– შაბათს ვალერი კვარაცხელიამ, რომელიც პარტია სოციალისტური საქართველოს ლიდერია, განაცხადა, რომ თუ საქართველო არ აღადგენს რუსეთის ბაზებს ბათუმში, ახალქალაქსა და ვაზიანში, მოსალოდნელია ქვეყნის დაშლა. ეს რუსეთის ახალი მუქარაა?***

– ეს მუქარას ჰგავს, თუმცა თავად კვარაცხელიამ შეიძლება ამას საკუთარი პროგნოზი უწოდოს. ძალიან საშიში დროა და რუსეთიც აგრძელებს აგრესიულ მოქმედებებს. რუსეთი არ მალავს, რომ მის გეგმებშია ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების შემოკრება. არ არის სწორი განცხადებები იმის შესახებ, თითქოს რუსეთს ჩვენ ვაღიზიანებთ. რუსეთის აგრესიას აძლიერებს მოწინააღმდეგის სისუსტე და დათმობები.

***– მაგალითად, სანქციების შერბილება?***

– თუნდაც, ეს. რუსეთს შეაჩერებდა ამ სანქციების გამკაცრება და არა მოხსნა და შერბილება. დღევანდელი მოქმედებები რუსეთს ისე არ აშინებს, რომ ის გაჩერდეს.

***– საქართველოს ხელისუფლება როგორ უნდა მოიქცეს?***

– ჯერ ერთი, რეგისტრაცია უნდა მოუხსნას რუსეთიდან მართულ პარტიებს. მეტად უნდა იზრუნოს ქვეყნის უშიშროებაზე. რაც გამოსაძიებელია, უნდა გამოიძიოს. ტრისტან წითელაშვილის საქმეზე ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ეს იყო გადაცდომა. ამ ფაქტის გამოძიება უნდა მომხდარიყო და დადგენილიყო, მართლა გადასცა თუ არა წითელაშვილმა საიდუმლო ინფორმაცია ოკუპანტ რუსეთს. სახელმწიფომ მუდმივად უნდა იზრუნოს ტერიტორიულ მთლიანობაზე.

# სერგეი მარკოვი: „სააკაშვილს ომის დაწყება მაკეინმა და ჩეინიმ აიძულეს, რადგან ეს რეიტინგისთვის სჭირდებოდათ“

10 აგვისტოს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა სომეხ კოლეგა სერჟ სარგსიანთან შეხვედრისას განაცხადა, რომ ყირიმში რუსულმა სპეცსამსახურებმა უკრაინელი დივერსანტების ჯგუფი დააკავეს, რომლებიც კიევიდან იმართებოდნენ და ამერიკელების წაქეზებით სიტუაციის დესტაბილიზებას გეგმავდნენ.



„მოსკოვსკი კომსომოლეცმა“ კომენტარისათვის პოლიტოლოგ **სერგეი მარკოვს** მიმართა.

***– რა ხდება ყირიმში?***

– იქ ასაფეთქებელი მოწყობილობაც იპოვეს, ეს ნიშნავს, რომ დივერსანტებს მოსახლეობის დაშინება და ტურისტული სეზონის ჩაშლა უნდოდათ. დღეს უკრაინის თავდაცვის სამინისტროს მთლიანად პენტაგონი აკონტროლებს, ხოლო უკრაინის სამხედრო დაზვერვას, შესაბამისად, აშშ-ის სამხედრო დაზვერვის სამმართველო. ასე რომ, უკრაინელებს თვი-



თონ, ამერიკის ნებართვის გარეშე, არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ. ანუ ამერიკელებმა კიევის ხელისუფლებას ამოცანა დაუსახეს, რომ როგორმე რუსეთის პროვოცირება მოეხდინათ საბრძოლო მოქმედებების დაწყების მიზნით.

***– და ეს ვის სჭირდება ამერიკაში?***

– ვფიქრობ, ეს სავსებით ჯდება პრეზიდენტობის კანდიდატ ჰილარი კლინტონის განცხადების ჩარჩოებში, რომ დონალდ ტრამპის პრეზიდენტად არჩევა აშშ-ის ეროვნულ უსაფრთხოებას ემუქრება. თუ უკრაინული პროვოკაცია განვითარდებოდა, ეს დონალდ ტრამპის იმიჯს მნიშვნელოვან დარტყმას მიაყენებდა. რესპუბლიკელი ტრამპი რუსეთთან პოზიტიური ურთიერთობის მხარდამჭერად გამოდის, რაც არ მოსწონთ დემოკრატ ჰილარი კლინტონს და მის მომხრეებს.

***– დივერსიულ ჯგუფს 5-6 აგვისტოს მიაკვლიეს, ანუ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის მორიგი წლისთავის წინ. ეს მოვლენები ერთმანეთის მსგავსები ხომ არ არის?***

– დიახ, ასეა. 2008 წლის აგვისტოს ომსაც აშკარად წინასაარჩევნო ხასიათი ჰქონდა, რომელიც ორგანიზებული იყო სენატორ ჯონ მაკეინისა და მის ოფისთან დაკავშირებულ ვიცე-პრეზიდენტ დიკ ჩეინის მიერ. სწორედ მათ აიძულეს საქართველოს პრეზიდენტი, ომი დაეწყო, თორემ თვითონ მიხეილ სააკაშვილს ომი არ სურდა. მას კარგად ესმოდა, თუ როგორი შედეგი იქნებოდა.

მიხეილ სააკაშვილმა 2008 წლის ივლისში ქართველ გენერლებთან თათბირი ჩაატარა და ყველა კატეგორიულად გამოვიდა ომის წინააღმდეგ. შესაბამისად, პრეზიდენტმაც ომზე უარი თქვა, მაგრამ თბილისში კონდოლიზა რაისი ჩავიდა, რომელმაც მიხეილ სააკაშვილს ომის დაწყება აიძულა.

***– რა მისცა რუსეთ-საქართველოს ომმა ამერიკელებს?***

– სწორედ მაშინ ჯონ მაკეინის რეიტინგმა ბარაკ ობამას რეიტინგს გადაუსწრო (იგი 2008 წელს აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი იყო). ამერიკის სპეცსამსახურებს ბარაკ ობამა ძალიან საეჭვო პიროვნებად ეჩვენებოდათ, რომელსაც შეიძლებოდა აშშ-ის უსაფრთხოებისათვის ზიანი მოეტანა. ნეოკონსერვატორები ბარაკ ობამას პირდაპირ მოღალატეს უწოდებდნენ. საბოლოოდ ჯონ მაკეინმა არჩევნები წააგო, მაგრამ გამარჯვებულ ბარაკ ობამას სპეცსამსახურებისთვის სამაგიერო არ გადაუხდია. ამჟამად, ჩემი აზრით, ისინი იმავე სცენარის განმეორებას ცდილობენ.

***– მაშინ რა გამოდის – ამერიკელებს ნამდვილი ომის გაჩაღება სურთ უკრაინასა და რუსეთს შორის?***

– არა, არა მგონია. ისინი არ ელოდებიან, რომ რუსეთის არმია უკრაინაში შეიჭრება და კიევს აიღებს. ეს იქნებოდა მართვადი კონფლიქტი: რაღაც სამხედრო შეტაკება, რომელიც ერთ კვირაში დასრულდებოდა, მაგრამ საინფორმაციო-პროპაგანდისტული თვალსაზრისით დონალდ ტრამპს „დამარხავდა“.



# რა მისწერა სიკვდილამდე ორი კვირით ადრე ეროსი კიწმარიშვილმა შალვა რამიშვილს?

ფრანგულმა რადიოსადგურმა გაავრცელა სიუჟეტი სათაურით „იდუმალი სიკვდილი: თვითმკვლელობა თუ მკვლელობა?“



სიუჟეტში საუბარია ეროსი კიწმარიშვილის გარდაცვალების საქმესთან დაკავშირებით და მოყვანილია ჟურნალისტ შალვა რამიშვილის განცხადება, რომ სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ეროსი კიწმარიშვილმა მას უთხრა, რომ დეპრესია ჰქონდა.

გთავაზობთ სიუჟეტის რეზიუმეს.

* * *

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ დახურა სისხლის სამართლის საქმე, რომელიც ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის დამფუძნებლისა და რუსეთში საქართველოს ელჩის ეროსი



კიწმარიშვილის სიკვდილის გამო იყო აღძრული.

– დადგინდა, რომ ეროსი კიწმარიშვილი არ მოუკლავთ, მან თავი მოიკლა, ამიტომაც დანაშაულის შემადგენლობა არ არსებობს, – აცხადებენ პროკურატურაში.

გარდაცვლილის ოჯახის წევრები და მათი სახელით მოქმედი ადვოკატები პროკურატურის დადგენილებას არ ეთანხმებიან.

როგორც „რადიო ფრანს ინტერნასიონალს“ ცნობილმა ტელეჟურნალისტმა შალვა რამიშვილმა განუცხადა, ეროსი კიწმარიშვილი დეპრესიაში იყო ჩავარდნილი:

– სიკვდილამდე ორი კვირით ადრე მან ფეისბუქით მომწერა, დეპრესიაში ვარ ჩავარდნილიო. იგი აქტიური და ნიჭიერი ადამიანი იყო, მაგრამ მასზე ძალიან ნეგატიურად იმოქმედა რუსთავის მერის არჩევნებში დამარცხებამ, მომწერა კიდეც ფეისბუქით. ამიტომაც მე ვეთანხმები პროკურატურის დადგენილების. არა მგონია, ფინანსურ პრობლემებს მისთვის თვითმკვლელობაზე ებიძგა.

მე უფრო იმას ვფიქრობ, რომ რუსთავში დამარცხების შემდეგ იგი „უსაქმოდ“ აღმოჩნდა და ამ გარემოებამ მასზე ძალიან უარყოფითად იმოქმედა, – აცხადებს რამიშვილი.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# დავით ზაქარაია: „დევნილები საარჩევნო ხმას ვითხოვთ“

## უნდა მოხდეს თუ არა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ახალი არჩევნები

გულიკო ბალაძე

არასამთავრობო ორგანიზაცია „აფხაზეთის უმაღლესი საზოგადოებრივი საბჭოს“ წარმომადგენელი **დავით ზაქარაია** „ახალ თაობასთან“ გამოთქვამს შეშფოთებას საკონსტიტუციო სასამართლოში არსებული ვითარებით.

ის იმედოვნებს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში არსებული ვითარება გავლენას არ მოახდენს მათი სარჩელის ბედზე.

– საკონსტიტუციო სარჩელი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ახალ არჩევნებს და დევნილი მოსახლეობისთვის საარჩევნო უფლების დაბრუნებას ეხება. საკონსტიტუციო სასამართლოს ირგვლივ დიდი ვნებათაღელვაა. მთელი პოლიტიკური სპექტრი ჩართულია ამ საკითხში. ვიმედოვნებთ, საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც ინსტიტუტი, დამოუკიდებლობას შეინარჩუნებს, – აცხადებს დავით ზაქარაია.

***– საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით ეჭვი გაგიჩნდათ?***

– საკონსტიტუციო სასამართლოსგან მოვითხოვთ, დაცული იყოს კონსტიტუციური პრინციპები, რაც აფხაზეთის უმაღლეს საბჭოსთან დაკავშირებით, დევნილებს მოგვცემს საშუალებას, დავიბრუნოთ ჩვენი საარჩევნო ხმის უფლება.

***– გგონიათ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში შექმნილი ვითარება გავლენას მოახდენს გადაწყვეტილებაზე?***

– საკონსტიტუციო სასამართლოში შექმნილი ვითარება არაპროგნოზირებადობის შეგრძნებას იწვევს, რამდენად დარჩება საკონსტიტუციო სასამართლო მომავალშიც მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი არბიტრაჟი.



***– თქვენი საკითხი წინა ხელისუფლების დროს საერთოდ იბლოკებოდა.***

– მთავარია ის რეაქცია, რაც გააჩნია დევნილ საზოგადოებას. დევნილებს აქვთ მოლოდინი, რომ საკონსტიტუციო სასამართლო მათ საარჩევნო ხმის უფლებას დაუბრუნებს.

***– დევნილები გიკავშირდებიან? უნდათ, ეს საკითხი დადებითად გადაწყდეს?***

– კომუნიკაცია ორმხრივია. ჩვენ მათ ვაცნობთ იმ სიახლეებს, რაც არის აფხაზეთის ირგვლივ. მათთვის საარჩევნო ხმის დაბრუნება პრიორიტეტია.

***– აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებთან თუ გქონდათ კონტაქტი?***

– ჩვენი სარჩელი მათთვის დისკომფორტის საგანია. როგორც კი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საკითხი გახდება სერიოზული საუბრის თემა, სამართლებრივ-პოლიტიკურ სივრცეში უმაღლესი საბჭოს ამ შემადგენლობას მოუწევს იმის აღიარება, რომ ისინი შეუცვლელები არ არიან და მათ არსებობას საერთო არ აქვს აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობის საკითხთან.

***– სამართალმემკვიდრეობის საკითხთან რამენაირად არ არის დაკავშირებული ლეგიტიმური უმაღლესი საბჭოს არსებობა?***

– სამართალმემკვიდრეობას უზრუნველყოფს პერმანენტული არჩევითობა და სახელმწიფოებრივი საკანონმდებლო ნორმების ზუსტი დაცვა.

***– ამ შემთხვევაში ხომ ძალადობრივი ჩარევით მოხდა არჩევითობის პრინციპის დაბრკოლება?***

– რა თქმა უნდა, მაგრამ ძალადობრივად პროცესების შეფერხებას მხოლოდ უმაღლესი საბჭოდან აქვს ადგილი.

***– როგორ?***

– ისინი უხეშად არღვევენ დევნილების უფლებებს, მათ ართმევენ ძირითად კონსტიტუციურ უფლებას.

***– მე ოკუპანტის მხრიდან ძალადობას ვგულისხმობ. თუმცა, რადგან თქვენ არ მოითხოვთ მთელი შემადგენლობის შეცვლას, ალბათ, ნაწილი მაინც შეინახავს სამართალმემკვიდრეობას.***

– ამ შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობა ექნება იმ გადაწყვეტილებას, რასაც მიიღებს საკონსტიტუციო სასამართლო. ისინი ვერანაირი სამართალმემკვიდრეობის შემნახველი ვერ იქნებიან, რადგან თვითონ არიან უკანონო. დაველოდებით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას. ბევრი სპეკულაციაა რაოდენობასთან დაკავშირებით, თუ რამდენი დეპუტატი უნდა აირჩიონ.

***– სპეკულაციები ვისი მხრიდან არის?***

– დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ირაკლი ალასანიას განცხადებამ ამ საკითხთან დაკავშირებით.

***– ალასანიას გარდა, პოლიტიკური სპექტრიდან სხვა პარტიები თუ გამოგეხმაურნენ?***

– წინასაარჩევნოდაც კი ტერიტორიული მთლიანობის საკითხი არ გახდა ნომერ პირველი საკითხი. აფხაზეთის უმაღლეს საბჭოს დაკარგული აქვს მთავარი ფუნქცია – კანონშემოქმედებითი ფუნქცია. ამიტომ აფხაზეთის საკითხი უნდა გახდეს სერიოზული პოლიტიკური მსჯელობის საგანი.

***– რამდენად მნიშვნელოვანია დევნილი მოსახლეობის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთიანობა?***

– ერთიანობა მნიშვნელოვანია. ეს ჩვენს პოზიციებს გააძლიერებს. ყველაფერი ეს კი უკავშირდება დევნილების სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას. დღეს მთავარი აქცენტი კეთდება პენსიონერებისთვის პენსიის გაზრდაზე მაშინ, როცა არავის ახსოვს დევნილებისთვის სამარცხვინო 45-ლარიანი დახმარების თუნდაც რაღაც ოპტიმალურ ციფრამდე მიყვანა. ერთადერთი, თავისუფალი დემოკრატები შეხვედრების დროს აცხადებენ, რომ აუცილებლად უნდა მოხდეს დევნილებისთვის 45-ლარიანი შემწეობის გაზრდა.

# ბირთვული ინტრიგა თურქეთში

სოსო ზაალიშვილი

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ მევლუდ ჩავუშოღლუს თქმით, ქვეყანამ ახლო აღმოსავლეთიდან დევნილების პრობლემების მოსაგვარებლად საკუთარი ბიუჯეტიდან 25 მილიარდი დოლარი დახარჯა.

მიუხედავად ბრიუსელთან წარმართული მოლაპარაკებებისა, თურქეთმა ვერც უვიზო რეჟიმი, ვერც ფულადი კომპენსაცია და ვერც მყარი მხარდაჭერა მიიღო. თუ ევროპა არ გადაურიცხავს თურქეთს პირველ ეტაპზე 3 მილიარდ ევროს და არ მისცემს ამ ქვეყნის მოქალაქეებს ევროპაში უვიზოდ შესვლის უფლებას, დიდი შანსია, თურქეთმა შეწყვიტოს დევნილთა მხარდაჭერის პროექტები და ისინი ევროპისკენ გაუშვას.

თურქეთის ხელისუფლების ასეთი მკაცრი პოზიცია რამდენიმე ფაქტორითაა გამოწვეული.

რუსული თვითმფრინავის ჩამოგდების, სამხედრო გადატრიალების მცდელობისა და რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირების შემდეგ, თურქეთი ამ ქვეყანასთან უფრო ღრმა თანამშრომლობაზე გადადის.

გუშინ, 15 აგვისტოს, ანკარაში მთავრობის სხდომა გაიმართა, სადაც საუბარი იყო რუსული ენერგეტიკული გიგანტის, „როსატომის“, მიერ რამდენიმე რეაქტორის მშენებლობის დაწყებაზე.

თურქეთის სამხრეთ სანაპიროზე ატომური ელექტროსადგურის, „აკიუს“, მშენებლობა რუსული პროექტის მიხედვით 2010 წლის მაისში დაიგეგმა.

4 ენერგობლოკი, თითო 1200 მეგავატის სიმძლავრით, 2016 წლიდან ექსპლუატაციაში თანმიმდევრულად, თითო წლის ინტერვალით უნდა შესულიყო. ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა რუსული „როსატომის“ შვილობილ კომპანიას, „ატომსტროიექსპორტს“ უნდა ეწარმოებინა.

პროექტის ღირებულება 20 მლრდ ევროს შეადგენს. დაახლოებით იმდენს, რამდენსაც თურქეთი საერთო ჯამში ევროკავშირისაგან დევნილთა პრობლემის მოსაგვარებლად ითხოვს.

2010 წელს დაწყებულმა არაბულმა გაზაფხულმა, აღმოსავლეთ ევროპაში, უკრაინასა და რუსეთის ურთიერთობების დაძაბვამ, რომელმაც შედეგად ყირიმის რუსეთის მიერ ანექსია გამოიწვია და შემდეგ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის დაძაბვამ პროექტის განხორციელება შორეული მომავლისთვის გადადო.

2016 წლის ზაფხულის მოვლენებმა ერდოღანს და პუტინს ერთგვარი პოლიტიკური ამნეზია დამართა, რის შემდეგაც ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის პროექტს ახალი სიცოცხლე შთაბერა.

* * *

ევროკავშირის მიერ თურქეთისთვის დევნილების თანხის მიცემაზე უარის თქმის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ ამ თანხით თურქეთი სამხედრო მოდერნიზაციას აპირებს.

ქვეყნის საგარეო მინისტრმა ღიად განაცხადა, რომ თურქეთის საჰაერო სივრცე დაუცველია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ერდოღანის მხარდამჭერი ძალისმიერი სტრუქტურების მიერ ჩატარებული გამოძიების თანახმად, სწორედ თურქეთის საჰაერო ძალების სარდალი ხელმძღვანელობდა არშემდგარ სამხედრო გადატრიალებას.

ერდოღანი ცდილობს საჰაერო თავდაცვითი სისტემის მოდერნიზაციას. ასეთი თავდაცვითი სისტემების შესყიდვა დღეს მას ორ ქვეყანაში, რუსეთსა და ისრაელში შეუძლია.



რუსული ს-400 ტრიუმფი სირიაშია განლაგებული. თურქეთის ხელისუფლებას ჰქონდა შესაძლებლობა, ამ სისტემის მოქმედებისათვის თვალყური ედევნებინა. შედარებით ძველი მოდელი ს-300 ირანმა შეისყიდა.

ისრაელის საჰაერო თავდაცვის სისტემა „რკინის თაღი“ ძალიან ეფექტურია. მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 99%-ს უახლოვდება, მაგრამ მომსახურება ძალიან ძვირი ჯდება. თავად ისრაელი „რკინის თაღის“ მომსახურებას თითქმის მთლიანად ახმარს ამერიკულ სამხედრო დახმარებას, რომელიც 4-6 მილიარდ დოლარს შეადგენს.

დიდი ალბათობით, თურქეთი რუსულ ს-400-ზე შეაჩერებს არჩევანს, თუ ამ ქვეყნის ხელისუფლებამ გადაწყვიტა ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის მოდერნიზება.

* * *



რუსეთის მიერ ბირთვული რეაქტორების მშენებლობა საფრთხე იქნება დასავლეთისთვის. ენერგოდამოუკიდებელი თურქეთი უფრო მეტ მოთხოვნას წაუყენებს ევროპისა და ამერიკის ლიდერებს. თან ატომური ტექნოლოგიები, რომლებიც ამ დროისთვის თურქეთში არაა განვითარებული, შესაძლოა სამხედრო თვალსაზრისითაც იქნას გამოყენებული.

წარმოიდგინეთ ბირთვული ტექნოლოგიებით აღჭურვილი თურქეთი, რომელიც ნატოს წევრად რჩება, ზურგს კი თურქული სამყარო, რუსეთი და ირანი უმაგრებს.

თურქეთის ტერიტორიაზე ბირთვული იარაღის არსებობა ახალი ხილი არაა. ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 60-იან წლებში ცნობილი კარიბის კრიზისი სწორედ თურქეთის ტერიტორიაზე სტრატეგიული შეტევითი ბირთვული იარაღის განლაგებამ გამოიწვია.

კარიბის კრიზისი კინაღამ მესამე მსოფლიო ომის დაწყების კატალიზატორი გახდა. რომ არა ამერიკის პრეზიდენტ კენედის გადაწყვეტილება, გაეტანა ბირთვული ქობინები და მათი გადატანის საშუალებები თურქეთიდან, შესაძლოა დღეს დედამიწაზე ჰომო საპიენსს კი არა, სხვა ორგანიზმებს ებატონათ.

თურქეთში ინჯირლიკის ბაზას, რომელსაც ერდოღანის მომხრეები პიკეტირებას უწევენ, ხანდახან ელექტროენერგიას უთიშავენ და ამერიკულ თვითმფრინავებს აფრენის საშუალებას არ აძლევენ. იქ 50 თერმობირთვული ქობინია განთავსებული. ეს ქობინები სტრატეგიული ავიაციის შეიარაღებაში ირიცხება.

სადაზვერვო სამსახურებთან დაახლოებულმა ანალიტიკურმა ინსტიტუტმა სტიმპსონ ცენტრმა, რომელიც ბირთვული იარაღის შემცირების ინიციატივით გამოდის, სამხედრო გადატრიალების დროს ინჯირლიკის ბაზაზე მიმდინარე პროცესები აღწერა.

ცენტრის დასკვნით, თურქეთის ტერიტორიაზე ასეთი შეიარაღების არსებობა მსოფლიოს უსაფრთხოებას უქმნის საფრთხეს. ბირთვული შეიარაღების სირიის საზღვრიდან 70 კილომეტრში მდებარეობა ნამდვილად არ წარმოადგენს სახარბიელო სურათს. მაშინ, როდესაც თურქეთი ნატოს სტრუქტურასთან აქტიურად თანამშრომლობდა, ბაზის დაცვა ბევრად უფრო ადვილი იყო, ვიდრე ახლა, როდესაც ამ ბაზის ხელმძღვანელი და პირადი შემადგენლობის დიდი ნაწილი სამხედრო ამბოხში მონაწილეობის გამო დაპატიმრებულია და, სავარაუდოდ, სახელმწიფოს ღალატის მუხლით იქნება გასამართლებული.

ამას გარდა, თურქეთში თითქმის ყველა სახის ტერორისტული ორგანიზაცია თუ ჯგუფი მოქმედებს. ისინი კარგად ფინანსდებიან და ინჯირლიკის ბაზაზე არსებული იარაღის ხელში ჩაგდების მიზნით ყველაფერზე წავლენ. ერდოღანის ხელისუფლება მხოლოდ სხვა ქვეყნების დაზვერვის ამარაა დარჩენილი, რომლებსაც თურქეთში მოქმედების საშუალება ახლა ნაკლებად აქვთ.

მიუხედავად ამისა, არც ერდოღანი ჩქარობს ბირთვული ქობინების თურქეთის ტერიტორიიდან გატანის მოთხოვნის დაყენებას და არც ნატო აკეთებს ამას.

ერდოღანის პოზიცია ახსნას ექვემდებარება. ის ახლა დასავლეთის შანტაჟისათვის ყველა მეთოდს იყენებს. 50 ბირთვული ქობინი თურქეთის ტერიტორიაზე ამის ბრწყინვალე შესაძლებლობაა.

„ბირთვული მძევლები“, რომელიც თურქეთმა ხელში ჩაიგდო, იძულებულს ხდის აშშ-სა და მის მოკავშირეებს, დათმობაზე წავიდნენ თურქეთთან და თვალი დახუჭონ ამ ქვეყნის ხელისუფლების აშკარა ანტიდასავლურ რიტორიკაზე.

დასავლეთთან დაწყებულ ბირთვულ ვაჭრობას აქვს შანსი, თურქეთის სასარგებლოდ დასრულდეს. ამერიკელებისთვის მნიშვნელოვანია, არჩევნების წინ საგარეო პოლიტიკურმა კურსმა კიდევ ერთი მარცხი არ განიცადოს. ვირტუალური ერთიანობის შენარჩუნების მცდელობა კი უფრო აგულიანებს თურქეთის ლიდერს, რომელიც რეგიონში დემოკრატიისა და თავისუფლებისთვის სერიოზულ საფრთხედ შეიძლება იქცეს.



# ვიტამინების ჭარბი რაოდენობაც საშიშია

ვიტამინები ეს არის დაბალმოლეკულური ორგანული ნაერთების ჯგუფი, შედარებით მარტივი აგებულების და მრავალფეროვანი ქიმიური ბუნების აქტიური ნივთიერებები, რომელთა ყოველდღიური გამოყენება უზრუნველყოფს ორგანიზმის სასიცოცხლოდ აუცილებელ პროცესებს.

ვიტამინების როლი და მნიშვნელობა სასიცოცხლო პროცესებში

ცილების, ცხიმების და ნახშირწყლებისაგან განსხვავებით, ვიტამინები ენერგიას არ წარმოქმნიან.

ადამიანის ორგანიზმში ვიტამინები საკვებთან ერთად ხვდება ან სინთეზირდება მიკროორგანიზმების მიერ ნაწლავში.

ვიტამინების ძირითად წყაროს მცენარეულობა წარმოადგენს, თუმცა ისინი ასევე მოიპოვება ცხოველური წარმოშობის პროდუქტებში, მაგ: ხორცში, კვერცხში და რძის პროდუქტებში.

ზოგიერთი ვიტამინი ბუნებაში პროვიტამინის სახით გვხვდება. ვიტამინების ნაკლებობა საკვებში, მათ დეფიციტს იწვევს და ამით სხვადასხვა დაავადებების პროვოცირებას ხდება. თუმცა ვიტამინების ჭარბი რაოდენობაც საშიშია.

მომატებული ძილიანობა, გამოფიტვა, გაღიზიანება, ყურადღების და მეხსიერების დაქვეითება, სუსტი იმუნიტეტი, თვალების გადაღლა და მხედველობის პრობლემა საღამოს საათებში, მშრალი კანი, გამონაყარი, ფურუნკულები, კბილების დაშლა, ფრჩხილების მტვრევა, გახუნებული და უფერული თმები, მათი ცვენა, კანზე ჭრილობების დაგვიანებული შეხორცება – ეს ყველაფერი ჰიპოვიტამინოზის სიმპტომებია.

დაბალანსებული კვების დროს ყველა სასიცოცხლოდ აუცილებელი ვიტამინები ორგანიზმში საკმარისი რაოდენობით ხვდება, ამიტომ ჯანმრთელ ადამიანს მათი მიღება დამატებით სხვადასხვა პრეპარატის სახით აღარ სჭირდება.

ვიტამინების მოთხოვნილება სხვადასხვა ფაქტორებზეა დამოკიდებული. ბავშვებს, მოზარდებს, ორსულ და მეძუძურ დედებს, პროფესიონალ სპორტსმენებს, ფიზიკური შრომით დაკავებული პირებს, ასევე ხნიერ ადამიანებს ვიტამინების შედარებით მეტი რაოდენობა ესაჭიროებათ.

მწეველებს და ალკოჰოლის მომხმარებლებს ასევე ესაჭიროებათ ვიტამინების რაოდენობის გაზრდა. იგივე ეხებათ იმ პირებს, ვინც სტრესი გადაიტანა, ავადმყოფებს, ვინც იძულებულია სხვადასხვა სახის წამლები მიიღოს.

ვიტამინები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ანტიბიოტიკების მიღების დროს, რადგან ისინი ანადგურებენ ნაწლავის ბაქტერიულ ფონს, ასევე ვიტამინებს და პროვიტამინებს,




რომლებიც კუჭნაწლავის ტრაქტში იმყოფებოდნენ.

გარკვეული ვიტამინები ერთმანეთთან განსაკუთრებით რთულ კავშირში იმყოფებიან. მაგალითად, ვიტამინი ე ახდენს ვიტამინ ა-ს სტაბილიზაციას და მის ორგანიზმში შენახვას. ტეტრაჰიდროფოლიუმის მჟავა წარმოიქმნება ცე ვიტამინის დახმარებით, რომელიც თავის მხრივ ითხოვს რკინის მიღებას. ბეტა-კაროტინი აითვისება მხოლოდ ცხიმებთან ერთდროული მიღებისას.

ვიტამინების შემცველობა საკვებ პროდუქტებში საკმაოდ არაერთგვაროვანია და ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, მაგალითად, ხორცში დამოკიდებულია წელიწადის დროზე, ცხოველის ასაკზე და მის მიერ მოხმარებულ საკვებზე.

ვიტამინების რაოდენობა ასევე განსხვავდება მცენარეებში, რადგან მნიშვნელობა აქვს ნიადაგს, მცენარის ხარისხს, გამოყენებულ სასუქს, სიმწიფის დონეს, კლიმატს, მოსავლის აღების ტექნოლოგიას, მის ტრანსპორტირებას და შენახვას. ასევე მნიშვნელობა აქვს ცე ვიტამინის შემცველობა ხილსა და ბოსტნეულში ბოლო პერიოდში 60-80%-ით შემცირდა, რადგან ის სწრაფად იშლება მოსავლის აღების შემდეგ.

გარდა ამისათვის, მისი აქტიური დაგროვება დამწიფების ბოლო დღეებში ხდება, ხოლო თანამედროვე აგრარული მეურნეობა ისეა მოწყობილი, რომ მოსავალს მის სრულ დამწიფებამდე იღებენ.

პროვიტამინები წარმოადგენენ ვიტამინების სინთეზის წინა სტადიას. ადამიანის ორგანიზმში პროვიტამინები გარდაიქმნება ბიოლოგიურად აქტიურ ფორმად. ვიტამინები ახდენენ ორგანიზმში მიმდინარე პროცესების რეგულირებას და ასრულებენ დამცავ ფუნქციას. მათ არ აქვთ საკვები ღირებულება, თუმცა მათ გარეშე შეუძლებელია ნივთიერებათა ცვლა. გარდა ამისა, ისინი ამაღლებენ მუშაობის უნარს და ტონუსს, ასევე აუმჯობესებენ ზოგად მდგომარეობას.

განასხვავებენ წყალში და ცხიმში ხსნად ვიტამინებს. ცხიმში ხსნადი ვიტამინები გროვდება გარკვეულ ორგანოებში და ქსოვილებში. ორგანიზმის თხევად გარემოში ტრანსპორტირებისათვის ამ ტიპის ვიტამინებს დამცავი გარსი ესაჭიროებათ. წყალში ხსნადი ვიტამინები ორგანიზმის ყველა წყლის შემცველ გარემოში არსებობენ, ანუ პრაქტიკულად ყველგან, პირველ რიგში კი სისხლში. ორგანიზმის მიერ გამოუყენებელი წყალში ხსნადი ვიტამინების დაგროვება არ ხდება, ისინი უბრალოდ გამოიდევნება.

## ცხიმში ხსნადი ვიტამინები:

ვიტამინი ა (რეტინოლი), ვიტამინი დე (კალციფეროლი), ვიტამინი ე, (ტოკოფეროლი), ვიტამინი კა (ფილლოხინონი).

## წყალში ხსნადი ვიტამინები:

ვიტამინი ბე 1 (თიამინი), ვიტამინი ბე 2 (რიბოფლავინი), ვიტამინი ბე 12, (კობალამინი), ვიტამინი ცე (ასკორბინის მჟავა), ვიტამინი აჰ (ბიოტინი), ფოლიუმის მჟავა, ნიაცინი, პანტოთენის მჟავა.

* * *

სპეციალურ ლიტერატურაში ხშირად ხმარობენ ისეთ ტერმინებს, როგორიცაა 9 (ფოლიუმის მჟავას სხვა დასახელება), 10 (ბე ჯგუფის ვიტამინების ნაზავი), ბე15 (პანგამის მჟავა), ბე 17 (ამიგდალინი, ალტერნატიული პრეპარატი ონკოლოგიური დაავადებების თერაპიაში), ფ (ნახევარად არანაჯერი ცხიმების ნაზავი), ემ (ფოლიუმის მჟავას მოძველებული დასახელება) და პე (მცენარეული ფლავონოიდები). ისინი არ განეკუთვნებიან უშუალოდ ვიტამინებს, არამედ წარმოადგენენ ვიტამინების შემცველ სუბსტანციებს.

* * *

დაუბალანსებული, მკვეთრად შემცირებული რაციონის მქონე დიეტების დაცვისას ან კვებიდან გარკვეული პროდუქტების ამოღებით, აუცილებლად ვითარდება და მატულობს ვიტამინების და მიკროელემენტების დეფიციტი.

ამის გამო შესაძლებელია განვითარდეს სხვადასხვა პათოლოგიური მდგომარეობა (საერთო სისუსტით და ქრონიკული დაღლილობის სინდრომით დაწყებული გულის რიტმის დარღვევით და ანემიით დამთავრებული).

განსაკუთრებით ეს საშიშია მოზარდობის პერიოდში. ხშირად ხდება, რომ საკუთარი ჭარბი წონით შეწუხებული ან სულ რამდენიმე კილოგრამით უკმაყოფილო მოზარდი გოგონები თვითნებური დიეტის დაცვისას მკვეთრად ამცირებენ რაციონში იმ პროდუქტებს, რომელსაც წონის მატების მიზეზად თვლიან. ეს კი ვიტამინების დეფიციტს, ვეგეტატიური დისფუნქციას, თავის ტკივილს და სხვა არასასურველ შედეგებს იწვევს. კლინიკური გამოვლინებები დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის ვიტამინების და საკვები პროდუქტების ამოღება ხდება რაციონიდან და რა დროის განმავლობაში.

წონის შესამცირებელი დიეტის დროს ხდება სუბპროდუქტების გამორიცხვა (ღვიძლი, თირკმელები), თუმცა ისინი მნიშვნელოვანი წყაროა ბე ჯგუფის ვიტამინების, მიკროელემენტების – სპილენძის, კობალტის, თუთიის, რკინის.

რძის პროდუქტების შეზღუდვას შეუძლია ბე ჯგუფის ჰიპოვიტამინოზის, ასევე კალცის, კობალტის დეფიციტის გამოწვევა.

ცხიმების რაოდენობის მკვეთრი შემცირება დიეტის დროს მოქმედებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტში ცხიმში ხსნადი ვიტამინების შეწოვაზე და შეძლებელია არაპირდაპირი მიზეზი გახდეს დე და ა ჰიპოვიტამინოზის, თმების, კანის ფრჩხილების მდგომარეობის გაუარესების.

მაღალკალორიულ თხილეულობაზე, მზესუმზირაზე, გოგრის მარცვლებზე უარის თქმა მნიშვნელოვანი მიკრო და მაკრო ელემენტების (მაგნიუმი, მარგანეცი, სელენი და სხვ.) და ბე 1, ბე 6 ვიტამინების უკმარისობის პროვოცირებას იწვევს.

იმ ადამიანებს, ვინც რეგულარულად ან დიდი ხნის მანძილზე დიეტას წონის შემცირების მიზნით იყენებს არაბალანსირებულ, ხშირად აღენიშნებათ მდგომარეობის გაუარესება, მცირდება ემოციური და ფიზიკური დატვირთვების ამტანობის შემცირება, ხშირად ცივდებიან, უუარესდებათ კანის ხარისხი, იყოფა თმები, ემტვრევათ ფრჩხილები.

შედეგად კი, ნაცვლად წონის დაკლების შედეგით გამოწვეული სიხარულისა, ადამიანს სისუსტე, უხასიათობა, მუდმივი სურდო და არც თუ იშვიათად დაკარგული კილოგრამების მატება აღენიშნება.

# რა არის ცელულიტი

როგორც სტატისტიკა გვიჩვენებს, ქალების 85% ცელულიტს, როგორც პრობლემას კარგად იცნობს. ცელულიტი არა მარტო კოსმეტიკური, არამედ სამედიცინო პრობლემაცაა.

„ფორთოხლის კანის" არსებობს ხშირად მიგვითითებს ორგანიზმის არაჯანსაღ ფუნქციონირებაზე და გარკვეული დარღვევების არსებობაზე.

ცელულიტი შეიძლება ჰქონდეთ როგორც ჭარბწონიან, ასაკიან ქალბატონებს, ასევე ახალგაზრდა და გამხდარ გოგონებს.

ცელულიტის ჩამოყალიბების მაპროვოცირებელი შეიძლება გახდეს ჰორმონალური დისბალანსი, სისხლის მიმოქცევის შემაფერხებელი მოვლენები, არასწორი კვება (ფასთფუდი, არასაკმარისი მცენარეული საკვები, უმოძრაო ცხოვრების წესი, სტრესი, მავნე ჩვევები (ალკოჰოლის გადაჭარბებული მოხმარება, სიგარეტი), მემკვიდრეობითი მიდრეკილება და ცუდი ეკოლოგიური მდგომარეობაც კი.

* * *

როცა ცხიმოვანი უჯრედები იწყებენ ზრდას, მოცულობაში გაფართოებას და კაფსულირდებიან შემაერთებელი ქსოვილის ვიწრო შუალედებში, ირღვევა ლიმფური და სისხლის მიმოქცევა, რომელიც წყლის შეკავებას უწყობს ხელს.

ჩნდება პრობლემები დაზიანებულ უბნებზე ჟანგბადის და საკვები ნივთიერების მიწოდებაში და რთულდება იქიდან შლაკების და ტოქსინების გამოდევნა. ამ დარღვევების შედეგად ჩნდება ცელულიტის ნიშანთვისებები – კანის რელიეფი ხდება არათანაბარი და ბურცოვანი, ემსგავსება ფორთოხლის კანს.

ექსპერიმენტალურად დაადგინეს, რომ ცხიმოვან ქსოვილებში ნივთიერებათა ცვლის პროცესები დამოკიდებულია სისხლის მიწოდების და მისი მიმოქცევის ინტენსივობაზე.

ცხიმოვან ქსოვილებში შემაფერხებელი ფაქტორების არსებობისას ადიპოციტების (ცხიმოვანი ქსოვილის უჯრედი) ლოკალური ჰიპერტროფია შეიძლება ნორმალური წონის პირობებშიც კი განვითარდეს.

იმისათვის, რომ ადიპოციტმა მიიღოს ცხიმოვანი მჟავები და პირიქით გამოყოს სისხლში, მას უნდა ჰქონდეს კონტაქტი სისხლძარღვებთან. თუ ადიპოციტი კარგავს კავშირს მიკროცირკულაციასთან, ცხიმი უჯრედში „ჩაკეტილი" აღმოჩნდება. ამიტომ არის, რომ წონის დაკლების მცდელობისას ცხიმი პირველ რიგში ყველაზე ადვილად ხელმისაწვდომი ადგილებიდან მიდის, მაგალითად ფეხების ან მუცლის ნაცვლად იკლებთ სახეზე.

ყველაზე გავრცელებული შეცდომა ასეთ შემთხვევებში, ამ საკითხის მიმართ ცალსახა მიდგომაა – როცა ებრძვიან ჭარბწონიანობას, ივიწყებენ ცელულიტს, ხოლო როცა ცდილობენ ზემოქმედება მოახდინონ ცელულიტის მიდამოებში ცხიმგროვებზე, ივიწყებენ ზოგადად ცხიმოვანი ქსოვილების არსებობაზე. ამის შედეგია წონაში დაკლების შემდეგ უცებ აღმოჩენილი ცელულიტი, რომელიც აქამდე არ ჩანდა, ხოლო ანტიცელულიტური პროცედურების დასრულების შემდეგ, ნაცვლად ბარძაყების ზედა ნაწილიდან ცხიმოვანი ფენების დაკლებისა, ცხიმი მცირდება ლოყებზე, ხელებზე ან მკერდზე.

გამოყოფენ ცელულიტის სამ სტადიას

I სტადია – ამ სტადიაზე კანი სწორი და თანაბარი ჩანს. თუმცა საკმარისია დუნდულების და ბარძაყების კუნთების დაჭიმვა, რომ ჩნდება მცირე ბორცვაკები. ამ ეტაპზე ამჩნევ, რომ დალურჯებული და ნაჭდევი ადგილები გვიან შუშდება.

II სტადია – ცხიმოვანი ფენები უფრო მკვრივი და ადვილი შესამჩნევები ხდებიან. მოვიქციოთ დიდ და საჩვენებელ თითს შორის კანის ნაკეცი – მივიღებთ ბორცვაკებიან და ორმოებიან ფენას. ზოგი დალურჯება შეიძლება საერთოდ არც გაქრეს.

III სტადია – რელიეფური უთანაბრობები კანზე მოშვებულ მდგომარეობაშიც კი ჩანს, ხოლო დაზიანებული ადგილების ფართობი შესამჩნევად გაიზარდა. კანზე მცირე მირტყმა ან მოჭერაც კი საგრძნობ ტკივილს იწვევს.



# სასარგებლოა, იცოდეთ



ხალხურ მედიცინაში არსებობს ერთი დაუჯერებელი და სუპერ ეფექტური რეცეპტი, რომელიც არტერიულ წნევას მინიმუმ ორი წლით დაარეგულირებს. ამასთან არც ძვირი დაგიჯდებათ.

აიღეთ 5 სუფრის კოვზი ფიჭვის წიწვი, 2 სუფრის კოვზი ასკილის ნაყოფი, 2 სუფრის კოვზი ხახვის ჩენჩო. ამ ყველაფერს დაასხით 1 ლ ცივი წყალი. მიიყვანეთ ადუღებამდე, დაახურეთ და დაბალ ცეცხლზე ადუღეთ 10 წუთს. შემდეგ დაელოდეთ ვიდრე გაგრილდება და გაფილტრეთ. შეგიძლიათ დაუმატოთ ცოტაოდენი წყალი. დალიეთ 2 დღის განმავლობაში.

მკურნალობის კურსი – 4 თვე.

* * *



თუ გაციების პირველივე სიმპტომებისას მიაქცევთ ყურადღებას საკუთარ თავს და გაითვალისწინებთ ხალხურ რჩევებს გაციების სამკურნალოდ მალევე დაუბრუნდებით ჩვეულ ფორმას.

1. თერმოსში ჩაყარეთ 100 გრამი ასკილი და გააჩერეთ 5 საათს. მოადუღეთ მაგარი ყავა, შეურიეთ ასკილის ნაყენს, ჩაუმატეთ შტოშის და ჟოლოს რამოდენიმე კენკრა, 2-3 ჩაის კოვზი რომელიმე ხილის ლიქიორი(უკიდურესს შემთხვევაში შეიძლება შაქრის ჩამატება). დაუმატეთ ლიმონის თხელი ნაჭერი და დალიეთ ერთი დღის განმავლობაში.

2. თანაბრად შეურიეთ ერთმანეთს გვირილის ყვავილი, ასკილი, ლიმონის ქერქი, მტირალა ტირიფის (ძეწნის ქერქი), ცაცხვის ყვავილი.

აიღეთ ჩაის ჭიქა მდუღარე წყალში გააჩერეთ ათ წუთს. მიიღეთ დღის განმავლობაში სამ ნაწილად, თბილ-თბილი, ჭამამდე 15 წუთით ადრე.

3. დღეში რამდენჯერმე მიიღეთ ასკილის ნაყოფის, ცაცხვის ყვავილის ჩაი ჟოლოს მურაბით. საკვებში გამოიყენეთ ხახვი, ნიორი ჩ ვიტამინით მდიდარი ხილი – ფორთოხალი, ლიმონი.

# „ობამა ტერორისტად არ გამომიცხადებია“

## ტრამპმა საკუთარი სიტყვები უარყო



აშშ-ს პრეზიდენტობის კანდიდატმა დონალდ ტრამპმა უარყო, რომ ობამა ტერორისტად გამოაცხადა.

— მე უბრალოდ არასწორად გამიგეს. ჩემი სიტყვები იყო სარკაზმი და არა — ობამას ტერორისტების ბელადად გამოცხადება, — თქვა ტრამპმა.

ტრამპმა განაცხადა, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში აშშ ტერორიზმთან ბრძოლას გააააქტიურებს.

ამავე დროს, მილიარდერმა ჟურნალისტები არაობიექტურობაში დაადანაშაულა.

— პრესამ ჩემ წინააღმდეგ ნამდვილი შავი პიარი ააგორა. ჩემგან ქმნიან უხეში, უკულტურო, ტლანქი პიროვნების სახეს, რომელსაც თურმე პოლიტიკის არაფერი გაეგება! როცა პრეზიდენტად ამირჩევენ, ამ ჟურნალისტებს პასუხისგებაში მივცემ, პრესაზეც კონტროლს დავამყარებ! — გამოაცხადა ტრამპმა.

პრეზიდენტობის კანდიდატმა კვლავ ხაზი გაუსვა იმას, რომ რუსეთთან ურთიერთობების მოგვარება სურს და სულაც არ აინტერესებს ისეთი საკითხები, როგორებიცაა საქართველოს და უკრაინის ნატოში ან ევროსტრუქტურებში ინტეგრაცია.

— ევროპელები ჩვენი მოკავშირეები არიან, მაშ რატომ ვაკეთებთ იმას, რაც ევროპელთათვის საზიანოა? — იკითხა ტრამპმა.

ამასობაში მისი საარჩევნო შტაბის უფროსი მანაფორტი მაქინაციებშია მხილებული.

საქმე მანაფორტის უკრაინაში მოღვაწეობის პერიოდს შეეხება, როცა ის პრეზიდენტ იანუკოვიჩის მრჩეველი იყო. კიევში აღმოჩენილია საბუთები, რომლებიც მანაფორტის რუს ოლიგარქ ოლეგ დერიბასკასთან კავშირს და მასთან ერთად რიგ საეჭვო ოპერაციებში მონაწილეობას ადასტურებს.

თავად მანაფორტი ბრალდებებს უარყოფს და აცხადებს, რომ შეთქმულების მსხვერპლი გახდა.

— რაც ჩემ გარშემო ხდება, ტრამპის წინააღმდეგ აგორებული შავი პიარის შემადგენელი ნაწილია, — ამბობს იგი.




# სროლა კიოლნის ცენტრში

გერმანიის ქალაქ კიოლნის ცენტრში მამაკაცებს შორის ხელჩართული ჩხუბი გაიმართა.

ოთხი მამაკაცი თავს დაესხა ერთს. ამ უკანასკნელმა დანა იძრო და თავდამსხმელი დაჭრა.

პასუხად ერთ-ერთმა თავდამსხმელმა შეიარაღებული მამაკაცის მიმართულებით რამდენჯერმე გაისროლა.

ტყვია მიზანს აცდა. სროლის ხმაზე პოლიციელებმა მიირბინეს. მოჩხუბრებიც გაიქცნენ. მათი დაკავება ვერ მოხერხდა.

დაჭრილი საავადმყოფოში წაიყვანეს.

# მილუოკიში ეროვნული გვარდიის ნაწილები შეიყვანეს



აშშ-ს ქალაქ მილუოკიში მღელვარება გრძელდება. არეულობის მიზეზი პოლიციელის მიერ ზანგის მოკვლაა.

ბრბო არ ცხრება. ის არბევს მაღაზიებს, ამტვრევს მანქანებს. ადგილი აქვს ძარცვისა და მაროდიორობის შემთხვევვებსაც.

ვისკონსინის შტატის გუბერნატორ სტივ უოერის ბრძანებით, ქალაქში აშშ-ს ეროვნული გვარდიის ნაწილები შეიყვანეს.

ეს მას შემდეგ მოხდა, რაც უცნობმა პირებმა პოლიციას ცეცხლი გაუხსნეს.

დაპატიმრებულია 20 ხულიგანი.



# ლავროვი: „უკრაინასთან ომს არ დავიწყებთ“

## შტაინმაიერი ეკატერინბურგში ჩავიდა

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი შტაინმაიერი ეკატერინბურგში ჩავიდა. აქ ის თავის რუს კოლეგა სერგეი ლავროვს შეხვდა.

— გერმანია ყირიმის ინციდენტის გამოძიებას რუსეთისგან და უკრაინისგან ელოდება, — განაცხადა მან ლავროვთან შეხვედრისას.

მისი თქმით, უკანასკნელ დღეებში ყირიმში ვითარების გამწვავების მიზეზებში სიცხადე ჯერ ბოლომდე არ არის შეტანილი,

— ამიტომ ჩვენ ველოდებით გამოძიების შედეგებს როგორც უკრაინული, ისე რუსული მხარისგან, — განაცხადა შტაინმაიერმა.

მისი განმარტებით, „ნორმანდიული ოთხეულის“ ფორმატში უკვე ორი წელია აღნიშნული კონფლიქტის დარეგულირებას ცდილობენ, თუმცა მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა.

თავის მხრივ, რუსეთის პირველმა დიპლომატმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ ხელისუფლებას უტყუარი მტკიცებულებები აქვს იმასთან დაკავშირებით, რომ ყირიმში დივერსიის მოწყობაში უკრაინა აქტიურად იყო ჩართული.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ასევე განაცხადა, რომ ოფიციალური მოსკოვი აღმოსავლეთ უკრაინაში არსებული ვითარების დარეგულირების მიზნით, მინსკის შეთანხმების საკუთარ ნაწილს შეასრულებს.

მან ხაზი გაუსვა, რომ რუსეთი არც საომარ მოქმედებებს დაიწყებს უკრაინასთან და არც დიპლომატიურ ურთიერთობებს გაწყვეტს.

— დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა უკიდურესი ღონისძიებაა! ამით არავინაა დაინტერესებული, — თქვა ლავროვმა


# ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური



სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79. ტელ: 2 182 186.**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.**


# თურქეთში დანაღმული ავტომობილი აფეთქდა

თურქეთში აფეთქების შედეგად 3 ადამიანი დაიღუპა.

შემთხვევა პროვინცია დიარბაკირში მოხდა, სადაც დანაღმული ავტომობილი პოლიციის განყოფილებასთან აფეთქდა.

დაღუპულთა შორის 2 პოლიციელი და 1 სამოქალაქო პირია, ვრცელდება ინფორმაცია დაშავებულთა შესახებ.

ადგილობრივი ხელისუფლება მიიჩნევს, რომ აფეთქება თურქეთში აკრძალული ქურთისტანის მუშათა პარტიის მიერ იყო ორგანიზებული.




აფეთქების შემდეგ რეგიონში ანტიტერორისტული ოპერაცია დაიწყო.

მოამზადა ნიკა თევზაძემ


# განცხადებები

● გიწვევთ ოფისში სამუშაოდ, აუცილებელია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 555-288-098.

**მკურნალობა**

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# მკურნალობა მამაკაცებისთვის!

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

# ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# სამტრედია და ბათუმის დინამო წითელ ჯგუფში გალიდერდნენ

**დილა-ზუგდიდი 4:1**

**გორი.** თენგიზ ბურჯანაძე

1:0 მოდებაძე (8), 2:0 ნონიკაშვილი (18), 3:0 წიქარიძე (28), 3:1 ლაშხია (48), 4:1 ჩახვაშვილი (69)

**დილა:** ბეგაშვილი, სამხარაძე, სალუქვაძე, კვახაძე, ღონღაძე, რაზმაძე, წიქარიძე, ერისთავი (კურმაშვილი 78), ნონიკაშვილი (ჩახვაშვილი 61), გამცემლიძე, მოდებაძე

**ზუგდიდი:** ზარქუა, იოსელიანი, აფაქიძე, ზოზულია, ჩიკვილაძე, ტყემალაძე, ბეჭვაია, აბდულ აზიზი (ლაშხია 46), ერმაჩენკო, ჭანკოტაძე (კუკავა 46), სამუშია

პირველ ტურში დილა ისვენებდა და პირველი მატჩის გამართვა მე-2 ტურში მოუწია. გორელებმა ჩინებულად გახსნეს სეზონი და ზუგდიდი 4:1 დაამარცხეს.

მატჩმა დილას სრული უპირატესობით ჩაიარა, რაც საბოლოოდ ანგარიშშიც აისახა. უკვე მე-8 წუთზე ნონიკაშვილის ფლანგური ჩაწოდების შემდეგ მოდებაძემ ყველას დაასწრო და ახლო მანძილიდან თავური დარტყმით გახსნა ანგარიში – 1:0.

10 წუთში მოდებაძეს დუბლის გაფორმებაც შეეძლო, თუმცა მისი მეტოქის საჯარიმოს მისადგომებიდან დარტყმული ბურთი ხარიხას მოხვდა, გადმოვარდნილ ბურთს ნონიკაშვილი დაეუფლა და საჯარიმოში შეიჭრა, საიდანაც უძლიერესი დარტყმით ორამდე გაზარდა სხვაობა – 2:0.

კიდევ 10 წუთში დილამ უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა: წიქარიძემ შორიდან ძალიან ძლიერად და მოულოდნელად დაარტყა, მეკარემ რეაქცია დააგვიანა – 3:0.

ბოლო წუთებზე ერისთავის მომენტი იყო გამოსარჩევი, რომელმაც მახვილი კუთხიდან მიზანს ააცდინა.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე სამუშიას დარტყმა ბეგაშვილმა მოიგერია, დამატებაზე კი შეცვლაზე შესულმა ლაშხიამ ყველას დაასწრო და ანგარიში შეამცირა – 3:1.

სულ ბოლოს ასევე შეცვლაზე შესულმა ჩახვაშვილმა გაიტანა, ხოლო საგოლე პასი მოდებაძისა იყო – 4:1.

**სამტრედია-სიონი 4:1**

**სამტრედია.** ეროსი მანჯგალაძე

1:0 არაბული (28), 2:0, , 3:0 ზივზივაძე (50, 61), 3:1 ვოლკოვი (74პ), 4:1 გამყრელიძე (84)

**სამტრედია:** მიგინეიშვილი, მთივლიშვლი, ცნობილაძე (გოგიაშვილი), სანდოხაძე, შერგელაშვილი, მანჯგალაძე, დათუნაიშვილი, რაჟამაშვილი, არაბული, ზივზივაძე (ჯიქია), მარკოზაშვილი (გამყრელიძე)

**სიონი:** ილუშენკოვიჩი, კასრაძე, თოთაძე, ფოფხაძე, გაფრინდაშვილი, სანტოს ფერნანდესი ვასაძე (ძარია), ჯანელიძე (ლობჟანიძე), ვოლკოვი, სიხარულიძე, შინდაგორიძე (კობახიძე)

სამტრედიელები სეზონის დასაწყისში ჩინებულად გამოიყურებიან. იმერლებმა ჯერ იყო და ქულა წამოიღეს ბათუმიდან, ხოლო მე-2 ტურში სიონი არ დაინდეს და დიდი ანგარიშით მოუგეს.

შეხვედრაში ანგარიში 28-ე წუთზე გაიხსნა. ბოლნისელთა დაცვა მთლიანად ჩავარდა, ბურთი საჯარიმოდან ვერ ამოიტანეს, ამით კი არაბულმა ისარგებლა და საკუთარი გუნდი დააწინაურა.

შემდეგ ბუდუ ზივზივაძის ჯერი დადგა – ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდმა დუბლი შეასრულა. ჯერ იყო და კუთხურის შემდეგ დაჰკრა თავი, შემდეგ კი იოლად გაექცა თოთაძეს – 3:0.

ზივზივაძის გოლებს სამტრედიელთა კარში პენალტი მოჰყვა, რომელიც დავით ვოლკოვმა ზუსტად შეასრულა.

85-ე წუთზე სამტრედიელებმა მე-4 გოლიც გაიტანეს – სტანდარტულიდან გათამაშებულ ბურთზე, კარგად ითამაშა შეცვლაზე შემოსულმა გამყრელიძემ, მას თოთაძე ეთამაშებოდა, რომელსაც პოზიციურად აჯობა და ილუშენკოვიჩს ახლო კუთხეში დაუტყა.



**კოლხეთი-დინამო (ბთ) 0:5**

**ფოთი.** პარკი არენა

0:1 შონია (19), 0:2 ლობჟანიძე (57), 0:3 მარიანოვიჩი (66), 0:4 გედენიძე (84სკ), 0:5 თევდორაძე (90პ)

**კოლხეთი:** თებიძე, რამალდანოვი, კილასონია, გედენიძე, ბოლქვაძე (ჯღამაია 70), გოგონაია, ოზარკივი, კერძევაძე, ივანკო (ქებურია 61), კორობკა (ლუკავა 46), ნიქაბაძე

**დინამო ბთ:** ტიმოფეევი, კვირკველია, სუხიაშვილი, გეგჭკორი (ჭკუასელი 77), ტვილდიანი, შონია, თარხნიშვილი, ქავთარაძე, გოგიტიძე, მარიანოვიჩი (თევდორაძე 81), ლობჟანიძე (კვანტალიანი 67)

**გაძევება:** გოგონაია (90)

ზღვისპირულ დერბიში სტუმრებმა უშანსოდ დატოვეს კოლხები. დინამომ მეტოქის დარბევა მე-19 წუთზე დაიწყო და ბოლო წუთზე დაასრულა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამტრედია | 2 | 1 | 1 | 0 | 5-2 | 4 |
| დინამო ბთ | 2 | 1 | 1 | 0 | 6-1 | 4 |
| დილა | 1 | 1 | 0 | 0 | 4-1 | 3 |
| კოლხეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-5 | 3 |
| საბურთალო | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| ზუგდიდი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |
| სიონი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-6 | 0 |

# ენდი მიურეიმ ოლიმპიადა მეორედ მოიგო



ენდი მიურეი ოლიმპიური ჩემპიონი ჩოგბურთში მეორედ გახდა. ოლიმპიადების ისტორიაში მსგავსი წარმატებისთვის აქამდე არავის მიუღწევია. ბრიტანეთის სახელით მოასპარეზე შოტლანდიელმა პირველად ოთხი წლის წინ, ლონდონში, თითქმის საკუთარ მოედანზე იჩემპიონა, წელს კი არგენტინელი ხუან მარტინ დელ პოტრო მისსავე სამეზობლოში, ბრაზილიაში დაამარცხა.

რიოში მიმდინარე 31-ე ოლიმპიური თამაშების გადამწყვეტი მატჩი ჩოგბურთში, დიდი სლემის ფინალებს შეშურდებოდა. 4-საათიანი ბრძოლის ბოლოს მიურეი უკეთ მომზადებული აღმოჩნდა და ისტორიულ გამარჯვებასაც მიაღწია.

მიურეის უპირატესობა პირველი სეტის დასაწყისშივე გამოიკვეთა. ერთია, ბრიტანელს იოლი მოგება არ ეწერა. მალევე გახდა ნათელი, რომ დელ პოტრო უბრძოლველად არაფერს დათმობდა. არგენტინელი 1:4 კი ჩამორჩა, მაგრამ მოახერხა გათანაბრება, რის შემდეგ მოწოდებები გაცვალეს, თუმცა მიურეიმ მე-12 გეიმში ბრეიკი გააჩერხა და სეტებში დაწინაურდა.

მეორე სეტის დასაწყისშივე დელ პოტრომ მეტოქეს მოწოდება აართვა და უპირატესობა სეტის ბოლომდე შეინარჩუნა – 6:4.

მესამე სეტის დასაწყისი თანაბარი იყო: ორივემ თავიანთ მოწოდებებზე 2-2 გეიმი მოიგეს, შემდეგ კი ბრიტანელის ჯერი დადგა – ზედიზედ 4 გეიმი და მიურეი დაწინაურდა.

მატჩის მშვენება გამოდგა მეოთხე სეტი. ორივე ჩოგბურთელი ისე გაერთო მეტოქის მოწოდების მოგებით, რომ საკუთარის არსებობა საერთოდ დაივიწყეს. დელ პოტრო 5:3 დაწინაურდა. მიურეიმ ანგარიში ჯერ გაათანაბრა, შემდეგ კი წინაც გავიდა – 6:5. სწორედ მე-11 გეიმი გახდა საკამათო, როდესაც მიურეის მოწოდებაზე ანგარიში 0:30 იყო, დელ პოტროს ხაზზე დავარდნილი ბურთი აუტში ჩაუთვალეს. არგენტინელმა ჩელენჯი მოითხოვა და მსაჯების შეცდომაც ნათლად გამოჩნდა, მაგრამ 0:40-ის ნაცვლად ბურთი გადაათამაშეს, სადაც ბრიტანელი უკეთ გაისარჯა, შემდეგ კი გეიმიც მოიგო.

მოწოდებაზე დელ პოტრო დადგა, რომელიც გამუდმებით უტევდა და მიურეის მდევრის როლში ამყოფებდა, მაგრამ ბრიტანელი ყოველთვის ახერხებდა გათანაბრებას, შემდეგ თავად შეუტია და მატჩ პოინტიც მიიღო. დელ პოტრომ გაათანაბრა... მეორე მატჩ პოინტი და მიურეი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

# ოლიმპიადა ქართველებისთვის უმედლოდ გრძელდება



რიო დე ჟანეიროში მიმდინარე ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს სახელით მოასპარეზე ძალოსანმა ანასტასია გოტფრიდმა თითქმის იგივე შედეგი აჩვენა, რაც ევროპის ჩემპიონატზე, სადაც ვერცხლის მედალი მოიპოვა, მაგრამ ეს მაჩვენებელი რიოში ვერაფერში გამოადგა.

ქალთა მძიმე წონაში ანასტასიამ ბ ჯგუფში იასპარეზა და 8 სპორტსმენს შორის მე-4 ადგილი დაიკავა. ატაცში 113 კილოგრამი დაძლია, აკვრაში – 135 და ჯამში 248 დააგროვა (ევროპის ვიცე ჩემპიონი 249 კილოგრამით გახდა). ბ ჯგუფში საუკეთესო მაჩვენებელი ვენესუელას წარმომადგენელ ისაბელ ესპინოზას ჰქონდა, რომელმაც ჯამში 273 კგ (121-152) დაიმორჩილა.

წონის ლიდერებმა მედლებისათვის ტრადიციულად ა ჯგუფში იბრძოლეს. ოლიმპიური ჩემპიონი ქალთა შორის აღნიშნულ წონით კატეგორიაში ჩინეთის წარმომადგენელი მენგ სუპინგი გახდა ჯამური 307 კილოგრამით.

წარუმატებელი სტარტი აიღეს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა. შეჯიბრების პირველ დღეს საქართველოს ნაკრების შემადგენლობიდან 75 კგ წონით კატეგორიაში ზურაბ დათუნაშვილმა იჭიდავა, თუმცა ევროპის ჩემპიონი ქართველი სპორტსმენი პირველივე შეხვედრაში ყაზახეთის წარმომადგენელ დოსჟან კარტიკოვთან დამარცხდა და მედლისათვის ბრძოლას გამოეთიშა. ოლიმპიური ჩემპიონი 75 კგ-ში რუსეთის წარმომადგენელი რომან ვლასოვი გახდა, რომელმაც ფინალში დანიელი მარკ მადსენი დაამარცხა.

ამ ეტაპისათვის, საქართველოს ოლიმპიურ დელეგაციას 2 მედალი – 1 ვერცხლი (ვარლამ ლიპარტელიანი) და 1 ბრინჯაო (ლაშა შავდათუაშვილი) აქვს მოპოვებული. ორივე მედალი ძიუდოისტთა ანგარიშზეა.

# საქართველო რუსეთთან ოვერტაიმში დამარცხდა



უაღრესად დაძაბულ, ოვერტაიმიან მატჩში საქართველოს ეროვნული ნაკრები 97:100 დამარცხდა რუსეთთან და თბილისის მერიის თასი რუსებმა მოსკოვში წაიღეს.

მოგება კარგია და ქართველებს რომ ემარჯვათ, სპორტის სასახლეში მოსული 7.000-ზე მეტი მაყურებელი იმაზე მეტად გაიხარებდა, როგორც რუსებთან მატჩში ქართველების მიერ გამოჩენილი ბრძოლისა და თავდადების შემხედვარემ გაიხარა. საქართველოს ნაკრებმა იბრძოლა, თითქმის უიმედო მატჩი შემოატრიალა და გამარჯვებასთანაც ახლოს იყო, თუმცა ფორტუნამ რუსებს გაუმართლა.

სერგეი ბაზარევიჩის ნაკრებს წამყვანი კალათბურთელები – ტიმოფეი მოზგოვი და ალექსეი შვედი აკლდათ. ეს დანაკლისი რუსებმა იოლად გადაიტანეს და რაკი ქართველებთან ფარქვეშ ბრძოლას აზრი არ ჰქონდა, შეტევის ასპარეზად შორი სროლები და სწრაფი გარღვევები აირჩიეს. ძნელია, მსოფლიოს მასშტაბით საკალათბურთო მატჩებში მოიძებნოს ისეთი მატჩები, როცა ერთმა გუნდმა მოხსნები 33:56 დათმო, მაგრამ თამაში მოიგო. სწორედ ამ სხვაობით იმარჯვეს ქართველებმა ფარზე, მაგრამ რუსებმა ეს ჩამორჩენის კომპენსირება სწრაფი შეტევებით და შორი სროლებით მოახერხეს.

გარდა ამისა, რუსებმა 14 სამიანი, ანუ მეტოქეზე ორჯერ მეტი ჩააგდეს და მიუხედავად იმისა, რომ ქართველებმა საჯარიმოების შესანიშნავი შედეგი აჩვენეს (34-დან 30), საბოლოოდ გამარჯვებული მაინც რუსეთი გამოვიდა.

თორნიკე შენგელიას წინამძღოლობით ქართველებმა უკანასკნელ წუთებზე მოახერხეს ჩამორჩენის გაბათილება და ბოლო წუთზე გამარჯვებას თვალებში ჩახედეს. შენგელიამ გამთანაბრებელი ორიანი ჩააგდო და პლუს მეურვე აიძულა, დაჯარიმებულიყო. ძირითადი დროის დასრულებამდე 4,3 წამით ადრე შენგელიამ საჯარიმო ააცილა, რუსებმაც შედეგიანად ველარ გამოიყენეს დარჩენილი დრო და დამატებითი დრო დაინიშნა, სადაც დიდი ბრძოლის შედეგად რუსებმა 3 ქულით იმარჯვეს.

# შედეგები

**14-15 აგვისტო**

**ოლიმპიადა**

**კალათბურთი**

**ქალები**

ჩინეთი-აშშ ................ 62:105
სენეგალი-სერბეთი ................ 88:95
ესპანეთი-კანადა ................ 73:60

**კაცები**

აშშ-საფრანგეთი ................ 100:97
ავსტრალია-ვენესუელა ................ 81:56
სერბეთი-ჩინეთი ................ 94:60

**წყალბურთი**

**კაცები**

ჩერნოგორია-ესპანეთი ................ 9:9
ავსტრალია-საბერძნეთი ................ 12:7
აშშ-იტალია ................ 10:7
საფრანგეთი-ხორვატია ................ 9:8
სერბეთი-იაპონია ................ 12:8
ბრაზილია-უნგრეთი ................ 6:10

**ფრენბურთი**

**ქალები**

სერბეთი-ჰოლანდია ................ 2:3
ს.კორეა-კამერუნი ................ 3:0
იტალია-პუერტო რიკო ................ 3:0
აშშ-ჩინეთი ................ 3:1
იაპონია-არგენტინა ................ 3:0
ბრაზილია-რუსეთი ................ 3:0

**ხელბურთი**

**ქალები**

ჩერნოგორია-ბრაზილია ................ 23:29
შვედეთი-საფრანგეთი ................ 25:27
ჰოლანდია-რუსეთი ................ 34:38
ნორვეგია-რუმინეთი ................ 28:27
ესპანეთი-ანგოლა ................ 26:22
არგენტინა-ს.კორეა ................ 22:28

**ჩოგბურთი**

**კაცები**

**ფინალი**

მიურეი-დელ პოტრო ... 7:5,4:6,6:2,7:5

**მე-3 ადგილისთვის**

ნადალი-ნიშიკორი ................ 2:6,7:6,3:6

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ბორნმუთი-მანჩესტერი ................ 1:3
არსენალი-ლივერპული ................ 3:4

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

კარდიფი-ქპრ ................ 0:2

**ესპანეთი. სუპერთასი**

სევილია-ბარსელონა ................ 0:2

**გერმანია. სუპერთასი**

დორტმუნდი-ბაიერნი ................ 0:2

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ჰანოვერი-ფიურტი ................ 3:1
ვიურცბურგერი-კაიზერი ................ 1:1
მიუნხენ 1860-არმინია ................ 1:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ნანსი-ლიონი ................ 0:3
ნიცა-რენი ................ 1:0
მარსელი-ტულუზა ................ 0:0

**ჰოლანდია. ერედივიზიონი**

ერაკლესი-ვიტესი ................ 3:1
იგლზი-ნაიმეგენი ................ 2:2
ფეიენოორდი-ტვენტე ................ 2:0
პსვ-ალკმაარი ................ 1:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ბოავიშტა-აროუკა ................ 2:0
სეტუბალი-ბელენესეში ................ 2:0
გიმარაეში-ბრაგა ................ 0:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ტომი-უფა ................ 1:0
ანჟი-არსენალი ................ 1:0
ტერეკი-ლოკომოტივი ................ 1:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

შტურმი-აუსტრია ................ 3:1

**ბელგია. 1 დივიზიონი**

ვარეგემი-სტანდარდი ................ 1:0
ბრიუგე-ლოკერენი ................ 1:0
ოსტენდე-მუსკრონი ................ 2:1

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

დუკლა-ჰრადეც ................ კრალოვე 3:0
იიჰლავა-სლავია ................ 1:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პიასტი-ზაგლებიე 0:0
ვისლა-რუხი 1:2

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ჩერნომორეცი-ოლიმპიკი ................ 3:0
სტალი-დინამო ................ 1:2

**დანია. სუპერლიგა**

ოდენსე-ნორდიელანდი ................ 3:1
ბრონდბიუ-სონდერიისკე ................ 4:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

კალმარი-მალმიო ................ 1:1
ჰაკენი-იორებრო ................ 0:1
დიურჰარდენი-ელფსბორგი ................ 2:2

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ალესუნდი-მიოლდე ................ 0:2
რუსენბორგი-სონგდალი ................ 3:1
სტრომგოდსეტი-სტარტი ................ 1:1
ოდ გრელანდი-სარპსბორგი ................ 0:0
ჰაუგესუნდი-ტრომსო ................ 2:1
ვიკინგი-სტაბეკი ................ 2:2

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

ვაასა-მარიეჰამნი ................ 0:2

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# მელ გიბსონის ყოფილ გერლფრენდს ინტერვიუმ ნახევარი მილიონი დააკარგვინა



კალიფორნიის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მსახიობი მელ გიბსონი აღარ არის ვალდებული, რომ თავის ყოფილ მეგობარ ქალს ოქსანა გრიგორიევას 500 ათასი დოლარი გადაუხადოს.

სასამართლომ ჩათვალა, რომ მან დაარღვია შეთანხმება თავის ყოფილ შეყვარებულთან, რომლის თანახმადაც გრიგორიევა ვალდებული იყო, არ გაევრცელებინა ინფორმაცია მსახიობთან დაშორების მიზეზებზე. 2013 წელს მან ინტერვიუ მისცა ჰოვარდ სტერნს, რომელშიც განაცხადა, რომ მელ გიბსონთან მისი დაშორების მიზეზი ოჯახური ძალადობა იყო.

2011 წელს გიბსონი და გრიგორიევა შეთანხმდნენ, რომ მსახიობი თავის ყოფილ მეგობარ გოგონას 750 ათას დოლარს ეტაპობრივად გადაუხდიდა. ამ თანხის მესამედი გოგონას ადრე გადაერიცხა.

გიბსონი და გრიგორიევა საზოგადოებაში ერთად პირველად 2009 წელს გამოჩნდნენ (მაშინ მსახიობი თავის პირველ მეუღლე რობინს შორდებოდა). წყვილს მათი ურთიერთობის მანძილზე შეეძინათ გოგონა, რომელსაც ლიუსი დაარქვეს. მალე გრიგორიევამ თავის ბოი-ფრენდს ბრალი ოჯახურ ძალადობაში დასდო და წყვილი ერთმანეთს დაშორდა.

# ბელგიური ლატარიის გამარჯვებული მოგების მისაღებად არ მივიდა



ბელგიის ეროვნული ლატარიის ლოტოს მონაწილე მთავარი პრიზის – ექვსი მილიონი ევროს მისაღებად არ მივიდა.

ამ შემთხვევაში საუბარია ლატარიის ისტორიაში ყველაზე მსხვილ მოგებაზე. მოგების გათამაშება 26 მარტს შედგა. წესების თანახმად, გამარჯვებულს კუთვნილი თანხის მიღება 13 აგვისტომდე შეეძლო. გამარჯვებულის მოსაძებნად ლატარიის ადმინისტრაციამ მას მედიაში განცხადება სამ ენაზე – გერმანულად, ფრანგულად და ჰოლანდიურად განათავსა, ასევე ლატარიის გაყიდვის ყველა წერტილში.

მოგებული თანხის გაცემის ვადის ამოწურვის შემდეგ ლატარიის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ბილეთი ბრიუსელში გაიყიდა. ადრე ეს ინფორმაცია გასაიდუმლოებული იყო, ვინაიდან ყველას, ვინც მოგების მისაღებად მიდის, ლოტოს თანამშრომლები უსვამენ შეკითხვას, თუ სად შეიძინა ბილეთი.

ასე რომ, საპრიზო თანხა ექვსი მილიონი ევრო ლატარიის ხაზინაში დაბრუნდება.

# ოლიმპიური თამაშების მონაწილე კეიტ მიდლტონის ორეულია

რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიურ თამაშებზე მომუშავე ჟურნალისტებმა ფრანგ სპორტსმენ პოლინ ფერან-პრევოში, რომელმაც ველოსიპედებით რბოლაში ფინალურ ჯგუფურ ეტაპზე 26-ე ადგილი დაიკავა, კემბრიჯის ჰერცოგინია კეიტ მიდლტონთან გარეგნული მსგავსება აღმოაჩინეს.

ერთ-ერთმა გამოცემამ ჰერცოგინია მსოფლიოს ერთ-ერთ ულამაზეს ქალად დაასახელა.

– თუმცა მისი გარეგნობა არც ისე უნი-



კალურია მას შემდეგ, როდესაც მისმა თაყვანისმცემლებმა გამოარკვიეს, რომ მას ოლიმპიურ სპორტსმენთა შორის ორეული ჰყავს, – ნათქვამია გამოცემის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ფერან-პრევო ათი წლით უმცროსია კემბრიჯის ჰერცოგინიაზე, ის 24 წლისაა. აღსანიშნავია, რომ ფრანგი სპორტსმენი ჰერცოგინიას არა მხოლოდ სახის ნაკვთებით, არამედ ფიგურითაც ჰგავს და ის მაკიაჟსაც და ვარცხნილობასაც სწორედ მიდლტონის სტილში იკეთებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# ინდოელი მოზარდები სელფის გადაღებისას ზღვამ გაიტაცა



ინდოეთში ოთხი მოზარდი ზღვამ იმ დროს გაიტაცა, როდესაც ისინი სელფის გადაღებას ცდილობდნენ. ამ ინფორმაციას ადგილობრივი პორტალი ავრცელებს.

ინციდენტი მახარაშტრას შტატში მოხდა. შვიდი მოზარდისგან შემდგარი ჯგუფი არაბეთის ზღვის სანაპიროზე ისვენებდა და გადაწყვიტეს ერთობლივი სურათი გადაეღოთ. მიუხედავად ზღვის ძლიერი ღელვისა, ისინი წყალში შევიდნენ და რამდენიმე კადრი გადაიღეს, თუმცა ოთხ მათგანს ეს ეცოტავა და ზღვაში კიდევ უფრო შორს შესვლა გადაწყვიტეს. სწორედ მაშინ გაიტაცა ისინი დინებამ.

ახალგაზრდების ძებნამ, რომელთა ასაკი 15-დან 19 წლამდეა, შედეგი ვერ გამოიღო.ინდოელი მოზარდები სელფის გადაღებისას ზღვამ გაიტაცა

ინდოეთში ოთხი მოზარდი ზღვამ იმ დროს გაიტაცა, როდესაც ისინი სელფის გადაღებას ცდილობდნენ. ამ ინფორმაციას ადგილობრივი პორტალი ავრცელებს.

ინციდენტი მახარაშტრას შტატში მოხდა. შვიდი მოზარდისგან შემდგარი ჯგუფი არაბეთის ზღვის სანაპიროზე ისვენებდა და გადაწყვიტეს ერთობლივი სურათი გადაეღოთ. მიუხედავად ზღვის ძლიერი ღელვისა, ისინი წყალში შევიდნენ და რამდენიმე კადრი გადაიღეს, თუმცა ოთხ მათგანს ეს ეცოტავა და ზღვაში კიდევ უფრო შორს შესვლა გადაწყვიტეს. სწორედ მაშინ გაიტაცა ისინი დინებამ.

ახალგაზრდების ძებნამ, რომელთა ასაკი 15-დან 19 წლამდეა, შედეგი ვერ გამოიღო.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## სპორტი

# ინტერს ალექსის სანჩესის ყიდვა სურს



მილანის ინტერი ახალი ფორვარდის ძიებაშია და მისი ინტერესის სფეროში არსენალის ჩილელი თავდამსხმელი ალექსის სანჩესი მოექცა.

ინტერი მზად არის, ამ ტრანსფერში 80 მილიონი ევრო გადაიხადოს, სანჩესს კი ხელფასის სახით წელიწადში 8 მილიონი ევრო დაუნიშნოს.

მიუხედავად ასეთი ციფრებისა, არსენალი თავისი წამყვანი ფორვარდის გაყიდვას არ აპირებს.

თვითონ სანჩესის პოზიცია ჯერჯერობით უცნობია, თუმცა ალექსისი არაერთხელ ამბობდა წარსულში, რომ არსენალში თავს ბედნიერად გრძნობს.

სანჩესი არსენალში 2014 წელს გადავიდა და მას შემდეგ ის გუნდის ერთ-ერთი ლიდერია.

# დინამოს პაოკთან შეხვედრის წინ ფორვარდის პრობლემა აქვს

თბილისის დინამოს საკადრო პრობლემები აქვს და პაოკთან შეხვედრა თბილისელებმა შესაძლოა ფორვარდის გარეშე ჩაატარონ.

რამდენიმე კვირის წინ დინამო ორმა ფორვარდმა, გიორგი ქვილითაიამ და ნიკოლოზ გელაშვილმა დატოვა, კიდევ ერთმა თავდამსხმელმა ვლადიმერ დვალიშვილმა კი ტრავმა მიიღო, რის გამოც მისი პაოკთან თამაში საეჭვოა. არ არის გამორიცხული, დინამომ პაოკთან შეხვედრა ნომინალური ფორვარდის გარეშე ჩაატაროს.

მატჩი 18 აგვისტოს თბილისის დროით 20.00 საათზე დაიწყება.

# ჯო ჰარტი შესაძლოა მანჩესტერ სიტიდან წავიდეს



ხოსეპ გვარდიოლას მისვლის შემდეგ მანჩესტერ სიტის მეკარის ჯო ჰარტის პოზიციები შეირყა და პრემიერ ლიგის პირველ შეხვედრაში სიტის კარი ვილი კაბალიერომ დაიცვა, ჰარტი კი თამაშს სათადარიგო სკამიდან ადევნებდა თვალყურს.

არ არის გამორიცხული, რომ კაბალიერომ ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდროს ადგილი, რასაც ჰარტი არ შეეგუება, ამიტომ შესაძლოა ის სხვა გუნდში გადავიდეს სათამაშოდ.

ერთ-ერთ ვარიანტად ევერტონი სახელდება, რომელიც მზად არის, სიტის ამ ტრანსფერში 40 მილიონი ევრო გადაუხადოს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

# ასტროპროგნოზი

## 16 აგვისტოსთვის



**ვერძი** – დაისვენეთ აქტიურად, ივარჯიშეთ. დღის მეორე ნახევარში იფრთხილეთ – დიდია ტრავმის მიღების ალბათობა. **კურო** – იტრიალეთ ხალხში. დიდხანს მარტო ნუ დარჩებით. საღამოს შესაძლოა წვეულებაზე წახვიდეთ, ასე რომ, საჩუქარზე წინასწარ იზრუნეთ. **ტყუპები** – ფინანსებს გაუფრთხილდით. საქმიანი გარიგებებისაგან თავი შეიკავეთ. საღამოს საშინაო საქმეები მოაგვარეთ. **კირჩხიბი** – გარშემომყოფებთან პრობლემები გაქვთ. თუ კომპრომისზე არ წახვალთ, სიტუაცია უფრო მეტად გამწვავდება. **ლომი** – დღეს მამაკაცებს საკუთარი ტალანტის წარმოსაჩენად შანსი გეძლევათ. ეცადეთ, ახალი სასიამოვნო ინფორმაცია მაქსიმალურად თქვენ სასარგებლოდ გამოიყენოთ. **ქალწული** – აქტიურობა და კომუნიკაბელურობა დადებით შედეგს გამოიღებს. გიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. **სასწორი** – საყიდლებზე წასასვლელად იჩქარეთ – ნავაჭრი იღბლიანი იქნება. ეძებეთ ახალი სამსახური. დღეს გაგიმართლებთ. **ღრიანკალი** – ჰარმონიული პერიოდია. ოპტიმიზმი და აქტიურობა დღის დევიზია. **მშვილდოსანი** – დაისვენეთ, გაისეირნეთ სუფთა ჰაერზე. პირად ცხოვრებაში სპონტანური გადაწყვეტილებების მიღებას არ გირჩევთ. **თხის რქა** – საქმიან შემოთავაზებებს ნუ უგულებელყოფთ. სიზმარი, სავარაუდოდ, აგიხდებათ. **მერწყული** – კარგი პერიოდია ახალი საქმის დასაწყებად, სარემონტო სამუშაოებისათვის. ოღონდ ყურადღებას ნუ მოადუნებთ. **თევზები** – თუ მოვლენებს რეალურად შეაფასებთ, წარმატებაც არ დააყოვნებს. საღამოს კულტურულად დაისვენეთ, უმჯობესია – ბავშვების გარემოცვაში.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. დაბალი ხარისხის თამბაქო; 2. სირიის პრეზიდენტი; 3. ჩილეს ნაკრებისა და „ბარსელონას" მეკარე; 5. ელექტროდენის ძალის საზომი ერთეული; 6. იაპონიის ჰიმნი; 9. ექიმთა თათბირი დაავადების გამოსარკვევად და მკურნალობის მეთოდის დასადგენად; 10. ღვინის მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 11. ესპანური ჩქარტემპიანი ცეკვა გიტარისა და კასტანიეტების თანხლებით; 14. მარადმწვანე ხე, ბუჩქი; 16. მთიბავთა სიმღერა ფშავ-ხევსურეთში; 18. ლიტერატურული პრემია საქართველოში.

**თარაზულად:** 1. თანამედროვე ქართველი მოქანდაკე; 4. წყნარი ოკეანისპირა კურორტი მექსიკაში; 7. დიპლომატიური კურიერის სპეციალური, დალუქული ჩანთა; 8. პატარა სამკუთხა ალამი; 12. ძვირფასი ლითონების წონის საზომი საერთაშორისო ერთეული; 13. ბანკის მევალეთა სარეგისტრაციო დავთარი; 15. შენობის სახურავად გამოყენებული ნაპობი თხელი ფიცარი ძველად; 17. რაიმეს ჩამონათვალი; 19. ნიადაგის გასაფხვიერებელი სასოფლო-სამეურნეო იარაღი; 20. ფულის ერთეული ირანში; 21. ესტონეთის დედაქალაქი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. რაფინადი; 6. ენერგია; 8. როტონდა; 10. კომბაინი; 11. კიმონო; 13. კაიმანი; 16. ვირტუოზი; 18. დრაფი; 19. აბედი; 21. ამპლუა; 22. ამონიუმი; 23. ლევრეტი.

**შვეულად:** 1. კამპუჩია; 2. მარტი; 3. დენდრიტი; 4. მარილი; 7. ადამი; 9. ენოტი; 12. ენცეფალიტი; 14. სომალი; 15. ვიბრამი; 17. დროზერა; 20. იმამი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. არკა; 2. რა; 3. საკე; 4. ლემა; 5. სენა; 6. დასტა; 7. ირიდა; 8. აბაზი; 9. ამება; 10. არია; 11. მოამბე; 12. მიკრობი; 13. რუ; 14. მა; 15. ლირა; 16. ეკი; 17. ომარ; 18. სალამე; 19. პო; 20. პერუ; 21. რკო; 22. ოიდიპოსი; 23. ბაქია; 24. კონკა; 25. მარაო; 26. ქსი; 27. მნე; 28. სტიქსი; 29. ინჟინერი; 30. კურარე; 31. არამისი; 32. პი; 33. რაფ; 34. კონუსი; 35. სპა.

**სურათებზე:** ლიუსი ლიუ; ერნანდო ლიორენტე

## თამარ ურუშაძემ „მოამბე“ დატოვა



ჟურნალისტმა, საინფორმაციო გამოშვება „მოამბის“ წამყვანმა თამარ ურუშაძემ საზოგადოებრივი მაუწყებელი დატოვა და ტელეკომპანია „იბერიაში“ გადავიდა.

ინფორმაცია ამის შესახებ ჟურნალისტმა სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა:

– ყველაფერს აქვს დასაწყისიც და დასასრულიც, თითქმის 10-წლიანი მუშაობის შემდეგ, დღეს „მოამბე“ დავტოვე. იმედის მერე, საზოგადოებრივი მაუწყებელი იყო მეორე ტელეკომპანია, რომელშიც ვმუშაობდი. მადლობა მინდა ვუთხრა მოამბელებს, ჩვენს მაყურებელს. ერთმანეთს შევხვდებით ტელეკომპანია „იბერიას“ ეთერში. სექტემბრიდან, ახალ სეზონზე, ახალ საინფორმაციო სამსახურში, ახალი გამოწვევებით და ახალი გეგმებით.

## სამგლოვიარო განცხადებები

### ირაკლი მსხილაძის ხსოვნას



ჩვენო ირაკლი, სწრაფად გავიდა უშენოდ 40 დღე, რაც შენ ეს წუთისოფელი დატოვე.

ყოველი წუთი შენზე მოგონებებით არის სავსე და ცრემლიანი.

ვერავითარი დრო ვერ განკურნავს იმ ტკივილს, რასაც უშენობა ჰქვია. მწუხარებას განიცდის შენი დედა, შენი ძმა, შენი მეუღლე, პატარა შვილები, ძმისშვილი, რძალი, ნათესავები, მეგობრები.

სულ მუდამ გიხსენებთ სიყვარულითა და ცრემლით. ძალიან გვენატრები, გვაკლიხარ, ძნელია შენი სითბოსა და სიყვარულის გარეშე, რომელსაც მუდამ გვინაწილებდი.

ისღა გვანუგეშებს, ხალხმა როგორი სიყვარული და სითბო გამოხატა შენ მიმართ.

მარად შენი სულისთვის ვილოცებთ, შენს საფლავს მოვეფერებით და ყოველთვის აგინთებთ სანთლებს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული.

*შენი დედა, მეუღლე და შვილები*

### ირაკლი მსხილაძის მონატრება



რა მუხთალი ყოფილა წუთისოფელი, ვინ იცის ვის სად წამოეწევა დაუნდობელი სიკვდილი, ჩვენო ძვირფასო, საყვარელო და დაუვიწყარო, ირაკლი.

რა სწრაფად გავიდა უშენოდ ეს 40 დღე, ყოველი წუთი შენზე მოგონებებით არის სავსე და ცრემლიანი. მოვდივართ საფლავზე და გულს გვიკლავს შენი მდუმარება.

უფალმა ნათელში გამყოფოს, ჩვენო დაუვიწყარო ვაჟკაცო.

*ბიძა ომარ ტონია ოჯახით*

---

შვილები მანანა, მზია და პაატა ზუხბაიები, დები ეთერ, ჯულიეტა, მიმოზა ჟვანიები, ძმა ელდარ ჟვანია იუწყებიან

**ქუჟუნა ხუხუს ასულ ჟვანიას**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 16, 17 აგვისტოს, 18 საათიდან, თბილისი, თემქა, XI მიკრორაიონი, I კვარტალი, 7ა კორპუსი, II სადარბაზო, ბინა 25.

დაკრძალვა: 18 აგვისტოს, 14 საათზე, წმ. ნინოს სახელობის ტაძრიდან (ველოტრეკთან).

---

შვილები ოთარ, გურამ, ლიანა, შვილიშვილები ნანა, გიგა, გოჩა, ხათუნა, ილონა მწუხარებით იუწყებიან

**ლიდია კიკაბიძე-გადელიას**

გარდაცვალებას.

---

სერგო ფიფია ოჯახით თანაუგრძნობს ოთარ და ლიანა გადელიებს დედის

**ლიდია კიკაბიძე-გადელიას**

გარდაცვალების გამო.

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო სამძიმარს უცხადებს აპარატის თანამშრომელს ზურაბ უშვერიძეს დედის

**მარიამ უშვერიძის**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## სტეფანე: „აზერბაიჯანშიც პოპულარული ვხდები“



მომღერალი და მუსიკოსი სტეფანე ბოლო პერიოდში პროდიუსერობით არის დაკავებული და უცხოელი ვარსკვლავების კარიერაზეც ზრუნავს.

სტეფანე აზერბაიჯანელი მომღერლის აიგიუნის პროდიუსერია, რომელიც ჰამბურგში მსოფლიო მუსიკალურ ფესტივალზე სნუპ დოგისთან ერთად დუეტში იმღერებს.

ინფორმაციას ამის შესახებ სტეფანე სოციალურ ქსელში ავრცელებს:

– აზერბაიჯანშიც პოპულარული ვხდები. ძალიან ბევრ პორტალზე წერია ეს ინფორმაცია, კომენტარებში დავდებ სხვა ლინკებსაც. 23 აგვისტოდან ჰამბურგში დიდი მსოფლიო მუსიკალური ფესტივალია, სადაც სხვა ქვეყნების მსოფლიო ვარსკვლავებთან ერთად აზერბაიჯანელი ვარსკვლავი აიგიუნი და სნუპ დოგი იმღერებენ დუეტს. აიგიუნის პროდიუსერი მე გახლავართ... გერმანიიდან ცხელ-ცხელ ამბებს ჩემს ინსტაგრამზე და ფეისბუკზე დავდებ.

## მარიკა თხელიძეს ქმარმა ჯიპი აჩუქა



მომღერალი მარიკა თხელიძე, რომელიც ბოლო პერიოდში საერთოდ აღარ ჩანს ეკრანზე, ბიჭის დედა გახდა.

მარიკა ორი წლის წინ ბიზნესმენ გიგა ანდრიაძეს გაჰყვა ცოლად და მისი ქორწილის ამბავიც ისეთივე გასაიდუმლოებული აღმოჩნდა ჟურნალისტებისთვის, როგორც მისი სიყვარულის ისტორია.

მარიკა და გიგა ბიჭის მშობლები გახდნენ. პატარა 3 კილოგრამი და 49 სანტიმეტრი დაიბადა.

დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს. ახალბედა მშობლებმა პატარას მარიკას მამის სახელი, ნიკუშა დაარქვეს.

– ისეთ ემოციებში ვარ, ვფიქრობ, ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ბედნიერი ეტაპი დადგა, ყველაზე საპასუხისმგებლო. ეს რომ ღუღუნს იწყებს, შემიძლია, საათობით ვიჯდე, ვუსმინო და ვუყურო და ამქვეყნად ყველაფერი მავიწყდება, – ამბობს ახალბედა დედა.

ბიჭის დაბადების აღსანიშნავად, მომღერალს ბიზნესმენმა მეუღლემ სიურპრიზი გაუკეთა და მერსედესის ჯიპი აჩუქა.

პატარას ფოტოები ინტერნეტში ჯერ არ გავრცელებულა, რადგან მშობლები ნიკუშას მონათვლას ელოდებიან.

ახალშობილს 40 დღისას მამადავითზე მონათლავენ და მას 6 ნათლია ეყოლება. ერთ-ერთი მათგანი მარიკას მეჯვარე, მომღერალი თიკა ჯამბურიაა.

## სტანისლავ ბონდარენკოს ქართველი მომღერალი კლიპში იღებს



„ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეექვსე სეზონის გამარჯვებულს, მსახიობ სტანისლავ ბონდარენკოს ქართველი მომღერალი კლიპში იღებს.

ბათუმში მყოფმა ბონდარენკომ უცნობი ლამაზმანის პიკანტური ფოტოები გამოაქვეყნა და თან მიაწერა: „გამოიცანით, ვისთან ერთად ვარ? რა ვარიანტები გაქვთ?“

უცნობი ლამაზმანი ისევ მსახიობის ფანებმა ამოიცნეს.

ფოტოებზე კლიპის გადაღების პროცესია ასახული, მსახიობის მკლავებში კი მოსკოვში მოღვაწე ქართველი მომღერალი სალი ხმალაძეა.

26 წლის სალი რუსულ შოუ-ბიზნესში ძალიან მალე გახდა ცნობილი. ის ელიტური წვეულებების ერთ-ერთი სასურველი სტუმარია. სალი რუსულ შოუბიზნესში კარგად ცნობილი ქართველი პროდიუსერის ნინო წიკლაურის შვილია. ის გიგა კვენეტაძის მეუღლე იყო, საქართველოში ყოფნის დროს კი რამდენიმე ქართველი ვარსკვლავის პროდუსერი, „პირველი სტერეოს“ მუსიკალური დირექტორი და სხვადასხვა კონცერტების ორგანიზატორი იყო.

## ანსამბლი „ორერა“ 55 წლისაა




ლეგენდარული ანსამბლი „ორერა“ 55 წლისაა.

იუბილეს აღსანიშნავად ანსამბლმა საქართველოში საკონცერტო ტურნე წამოიწყო. 15 წლიანი პაუზის შემდეგ, „ორერა“ ბათუმს ეწვია. „ორერას“ ახალგაზრდა წევრებთან ერთად, იუბილარი ანსამბლის უხუცესმა მომღერლებმა ძველი და ახალი სიმღერები შეასრულეს.

საიუბილეო ტურნე, რომელიც ბათუმიდან დაიწყო, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გადაინაცვლებს.

შემოდგომაზე ანსამბლი გალა-კონცერტს თბილისში გამართავს.

## „ღამის სერენადები“ ლიანა ისაკაძის იუბილეს მიეძღვნება



საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „ღამის სერენადები“ წელს მისი დამაარსებლის, მსოფლიოში ცნობილი ქართველი მევიოლინეს, ლიანა ისაკაძის 70 წლის იუბილეს მიეძღვნება.

ლიანა ისაკაძე და საერთაშორისო ორკესტრი „ვირტუოზები“ კონცერტებს ბათუმში, ანაკლიასა და თბილისში გამართავენ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## პროგრამა

### სამშაბათი 16 აგვისტო

**07.30** დ/ფ "დიდებული სასახლეები" **08.00** ან/სერ. "მხიარული ფერმა" **09.00, 10.10** ოლიმპიადა – "რიო **2016**" (**15.08.2016**) **10.00, 12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "დღე მუზეუმში" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** "პირადი ექიმი" **15.00** "ფერმა" თემა **15.30** "სიტყვების თამაში" **16.30** "ოლიმპიური დღიური" **17.00, 20.50** ოლიმპიადა – "რიო **2016**"

**08.00, 16.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **09.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **10.00** "გეოფაქტორი" **10.10** დ/ფ "ალექსანდრე დიდი მაკედონელი" **11.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **12.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **13.00** "თოფ გიარი" **14.00** მხ/ფ "**დომბე და ვაჟი**" **16.30** დ/ფ "ნეფერტიტი: დედოფლის მუმიის საიდუმლო" **17.15** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **18.30** ტ/სერ. "**ბედისწერის აჩრდილი**" **19.30** "ტელებლოგი" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.00** ოლიმპიური დღიური -"ათენიდან ათენამდე" **21.40** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **22.40 ფეხბურთი** – ჩემპიონთა ლიგა" პლეიოფი: **00.40** "ნამდვილი დრო" **01.10** დ/ფ "ალექსანდრე დიდი მაკედონელი"

**06.00** სერ. "**დახურული სკოლა**" **07.00** სერ. "**ფიცი**" **08.00** სერ. "**თანხმობა**" **09.00** კულინარიული დუელი **10.00** სერ. "**ბამბის ველი**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა **11.20** სერ. "**ჟუმონგი**" **12.30** სერ. "**სიყვარულის ჟამი**" **1** სერ. **14.40** სერ. "**ფიცი**" **16.00** სერ. "**თანხმობა**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ** " **23.00** სერ. "**სპარტაკი**" **2**" **3** სერ. **00.00, 02.15, 04.15** მხ/ფ

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 12.30** სერ. "**გაბრიელა**" **08.45, 09.15** სერ. "**ინდიანა ჯონსის მემკვიდრეები**" **10.15** სერ. "**დინასტია**" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**ცხოვრების გზები**" **19.45, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **20.50** ლოტო **22.00** კომედის კონცერტ **2016** (**1** ნაწილი) **23.00** სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" **00.00** ქერის უბანი **00.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.00** ან/სერ. - "**ავატარი**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00, 0.45** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00, 2.45** სერ. "**ძვლები**" **15.00** მხ/ფ "**ჰარი პოტერი და აზკაბანის ტყვე**" **17.30** სერ. "**მსახიობი მამა**" **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 21.30** მხ/ფ "**საჰაერო ციხე**" **23.35** სერ. "**ამერიკული საშინელებათა ისტორია**"

**06.10** სპექტაკლი "ცოლ-ქმარი ბინას დაეძებს" **07.50** საქართველოს სამართლის ისტორია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" კოლაჟი. **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** პატერიკი-"არა განიკითხო" **10.40** არის ასეთი ქვეყანა, მას საქართველო ჰქვია-"გურჯაანი" **11.10** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **11.40** საეკლესიო აღმშენებლობა "სქური-ჯვრის აღმართვა" **12.10** მხ/ფ "**მზე შემოდგომისა**" **13.30** კონცერტი "მთიები" **14.00** საყმაწვილო ენციკლოპედია **14.30** დეკორატიული ფლორა "ზამბახი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ანიმაციური ფილმი **15.30** ტელე ზღაპარი "წითელქუდა" **15.50** დ/ფ "პალიასტომი-ჩხოროწყუ" **16.20** სიმღერის კვალდაკვალ "არგვეთი" **17.15** "კვირიაკის" სიუჟეტი "გერმანიის ქართული სათვისტომო" **17.45** სიბრძნისმეტყველება "ალ. მაკედონელი და დიოგენე სინოპელი" **17.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო-მეოთხე მცნება **18.10** დ/ფ "რკონი" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** დ/ფ "ტაძარში მოქცევის წესები" **19.45** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა "იოსების სიზმარი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია "ყარაბაღი" **22.25** ჩვენი ფონდი "დიმიტრი თუმანიშვილი-ქსნის ერისთავთა საძვალე-იკორთა" **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო-მეოთხე მცნება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ერთსულოვანი ოჯახი "ფეტვიაშვილი" **23.30** გამოყენებითი ხელოვნება "ქართული საჭურველი" **00.30** ერთსულოვნების სალონი **01.00** მხ/ფ "**ენი მწვანე სახურავების მამულიდან**" **2** სერ.

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები"(ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ქალთა ექიმი**" **10.05** სერ. "**ტატიანა**" **11.05** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **13.00, 14.05, 1.00**სერ. "**გულს ვერ უბრ»ანებ**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.00** "კონტაქტი" **16.05, 17.05, 2.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.55, 19.05** სერ. "**მოლოდინის სია**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.35** სერ. "**ჯადოქარი**" **21.30** "ღამის კონტაქტი" **22.35** სერ. "**მახე**" **23.30** სერ. "**ფროიდის მეთოდი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


16 აგვისტოსთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.3398

ევრო — 2.6096

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0319

100 რუსული რუბლი — 3.6197

**ამინდის პროგნოზი 16 აგვისტოსთვის**





## 16 აგვისტოდან

თედორე დოსტოევსკი

**უმანკილი**

ტომი I



**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## 19 აგვისტოდან



თედორე დოსტოევსკი

**უმანკილი**

ტომი II

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**


## იუმორი

მალაზიაში, მამაკაცი გამყიდველს მიმართავს:

– თუ შეიძლება, მომეცით 3 ყუთი არაყი, 50 ლიტრი ლუდი, 5 ყუთი მარტინი და 30 კოლოფი პრეზერვატივი.

– აი, ინებეთ.

– გმადლობთ.

– ახალგაზრდავ, ერთი წუთით!

– რაშია საქმე?

– მეც თან წამიყვანეთ!

●●●

ბავშვი მშობლებს ძაღლის ჩუქებას ეხვეწებოდა და მათაც გადაწყვიტეს, რომ დაბადების დღეზე შვილი გაეხარებინათ და დიდი სენბერნარის ჯიშის ძაღლი მიუყვანეს. ბავშვმა ძაღლი შეათვალიერა და ჩაილაპარაკა:

– ვერ გავიგე, მე მაჩუქეს ძაღლი, თუ ძაღლს ჩემი თავი?

●●●

დილით „პახმელიაზე" მყოფი ქმარი ცოლს ეკითხება:

– ძვირფასო, რა იფიქრე, როდესაც წუხელის მაგარი მთვრალი და თვალჩალურჯებული მოვედი?

– რომ მოხვედი, თვალი ჯერ არ გქონდა ჩალურჯებული!

●●●

ქალი გამყიდველს ეკითხება:

– შეიძლება, თქვენთან ეს პარკი ავწონო?

– დიახ, როგორ არა. ზუსტად კილო და ოთხასი გრამია, და რა დევს პარკში?

– ორი კილო ხორცი, რომელიც ათი წუთის წინ თქვენთან ვიყიდე...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– სამყაროში ნეტავ თუ არსებობენ გონიერი არსებები?

– არსებობენ.

– მერე, რატომ არ გვიკავშირდებიან?

– გონიერები არიან და იმიტომ!

●●●

მამა შვილს ეუბნება:

– შვილო, აი ნახე, მე 350 ლარი მაქვს, დედას 150, რამდენი ექნება დედას?

– 500 ლარი.

– სწორია, შვილო.

●●●

ავტობუსში ახალგაზრდა გოგონა ზის ძალიან მოკლე კაბით. მის მოპირდაპირედ მჯდომმა ხანდაზმულმა მამაკაცმა გაუღიმა და ეუბნება:

– ბიჭი გეყოლება.

– თქვენ საიდან იცით?

– წვერები უჩანს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**




მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

## 18 აგვისტოდან

# ჩემი საყვარელი ორეული

ნინო ხარატიშვილი




ნინო ხარატიშვილის „ჩემი საყვარელი ორეული" მოგვითხრობს რთული ოჯახური ურთიერთობებისა და მტკივნეული სიყვარულის ამაღელვებელ ამბავს.

„ჩემი საყვარელი ორეული" ამაღელვებელი და მომნუსხველი დრამაა, რომელშიც აკრძალული ვნებისა და წარსულისაგან განთავისუფლების მცდელობის მსოფლიო თემებია ასახული.

რომანი 2011 წელს დამოუკიდებელი გერმანული გამომცემლობების პრიზით დაჯილდოვდა.

**ფასი გაზეთთან ერთად 7,5 ლარი**


## კანიე უესტმა კიმ კარდაშიანს თანამედროვე მარია-ანტუანეტა უწოდა



ამერიკელმა რეპერმა კანიე უესტმა თავის მეუღლეს კიმ კარდაშიანს თანამედროვე მარია-ანტუანეტა უწოდა. მან ასეთი შეხედულება ჰარპერს ბაზართან ინტერვიუს დროს გამოთქვა.

მომღერლის თქმით, მისი მეუღლე იმ ცვლილებების სახე გახდა, რომლებსაც მოდის სამყაროში აქვს ადგილი. თუ ადრე დიზაინერები ტელევარსკვლავს თავიანთ ჩვენებებზე არ იწვევდნენ, ახლა უკვე ისინი კოლექციებს მისი ფიგურის შესაბამისად ქმნიან.

– კიმი დღევანდელობის მარია-ანტუანეტად იქცა. ის ვარცხნილობას და მაკიაჟს ყოველდღე იკეთებს და არა მხოლოდ გადაღებებისთვის. რატომ? იმიტომ, რომ ყოველი დღე ფოტოსესიაა, – განაცხადა კანიე უესტმა.

ასევე მომღერალმა დაამატა, რომ ამ ცვლილებებს, რომლებიც სამყაროში ამ ეტაპზე ხდება, საკუთარ თავსაც აკუთვნებს.

## გოგონამ 97 წლის ბებია გაახალგაზრდავა



ამერიკის ტეხასის შტატის მცხოვრებმა გოგონამ თავის 97 წლის დიდ ბებიას გაუკეთა მაკიაჟი, რომლის დახმარებითაც მას გარეგნობა შეუცვალა.

18 წლის უნივერსიტეტის სტუდენტმა და ვიზაჟისტმა ტეილორ ტრიმბლმა თავისი შრომის ნაყოფი სოციალურ ქსელ ტვიტერში საკუთარ გვერდზე ჯერ კიდევ მაისის დასაწყისში განათავსა, თუმცა მასმედიამ ყურადღება უჩვეულო გარდასახვას მხოლოდ ახლა მიაქცია. ფოტოსურათებმა რვა ათასზე მეტი მოწონება მიიღო.

ტრიმბლის თქმით, მან თავის დიდ ბებიას დორისს მაკიაჟი მასთან მოხუცთა სახლში სტუმრობის დროს გაუკეთა. სოციალური ქსელების მომხმარებელთა უმრავლესობის აზრით, რომელთაც სურათებს კომენტარები გაუკეთეს, მოხუცი ქალბატონი მაკიაჟის შემდეგ გაცილებით ახალგაზრდულად გამოიყურება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ბარსელონამ სეზონი დამაჯერებელი გამარჯვებით დაიწყო



ბარსელონასთვის არდადეგები დასრულდა და კატალონიურმა გუნდმა უკვე ახალ სეზონში შეაბიჯა ფეხი.

პირველი ოფიციალური შეხვედრა ბარსელონამ ესპანეთის სუპერთასის ფინალში სევილიასთან გამართა და ანდალუსიელები მათსავე მოედანზე დამაჯერებლად 2:0 დაამარცხა.

მატჩის პირველი ნახევარი სევილიელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ მათ ვერ შეძლეს კატალონიელთა კართან რაიმე სახიფათო მომენტის შექმნა.

მეორე ტაიმში ბარსელონა გამოცოცხლდა და 55-ე წუთზე ლუის სუარესმა ლამაზი კომბინაციის შემდეგ ანგარიში გახსნა.

ამის შემდეგ ბარსელონამ მთლიანად ფლობდა მატჩის სადავეებს და სევილიამ მათ ვერაფერი დაუპირისპირა.

მე-80 წუთზე მუნირმა მეორე გოლი გაიტანა და შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

განმეორებითი მატჩი ბარსელონაში 17 აგვისტოს გაიმართება.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი კორეული გემთმშენებელი კონცერნი; 2. აშშ-ს სახელმწიფო მდივანი; 3. მუდმივი სიდიდე მათემატიკაში; 4. ჰაერში ასაშვები მეტეოროლოგიური ბურთი; 5. ვერცხლისწყლის ქართული სახელწოდება; 8. კარგი, მხიარული გუნებაგანწყობილება; 9. უზადო ბრილიანტი; 12. ყვავის ბარტყი; 14. ისტორიული ციხე-ქალაქი მცხეთის მახლობლად; 16. დიპლომატიური წარმომადგენელი.

**თარაზულად:** 1. მთიანეთი ავღანეთში; 6. ფანქრების მწარმოებელი ჩეხური ფირმა; 7. ძველი ქართული დამწერლობა; 9. გერმანული იმპერია; 10. წყალქვეშა კლდე; 11. ბუნებრივი ნაკრძალი აფხაზეთში; 13. ჟანგბადისა და წყალბადის ნაერთი; 15. შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ეგრისის სამეფოს ნაწილი; 17. ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონი; 18. შიშით გამოწვეული მღელვარება; 19. ნაკურთხი წყალი; 20. ოსტატის მოწაფე.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

